# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 5 აგვისტო 2003 №143 (1915) | ფასი 50 თეთრი

# სახისმეტყველება
## უნდა გაიტანო. უნდა აიტანო. უნდა ავიტანოთ?



LA GAZZETTA DELLO SPORT

ტურინის „იუვენტუსმა" „მილანს" იტალიის სუპერთასი ამერიკაში მოუგო. მანჩესტერული ლიგის ფინალისგან განსხვავებით, ამჯერად ნიუ იორკის „ჯაიანთსზე" თერთმეტმეტრიანი არ დაურტყამს კახა კალაძეს.

„მილანმა" ამერიკული ტურნე უილბლოდ დაასრულა, თუმც იანკეთში „მოგზაურობას" სხვა დატვირთვაც ჰქონდა. წუხელ კახა კალაძეს შევეხმიანეთ...

# გაიგეთ!
## მწვრთნელი პანტა არ არის, პუნტით შეცვალო

— უკმაყოფილო ხართ, სუპერთასი რომ ვერ მოიგეთ?

— გვეწყინა, მაგრამ მარცხი ტრაგედიად არ გვიქცევია. მგონი, ნორმალურად ვითამაშეთ, თუმც სანახაობრივობაზე რა გითხრათ.

— ტურნეც უილბლოდ დაასრულეთ, „იუვენტუსმა" რევანშიც აიღო ლიგის ფინალში წაგებისთვის...

— ამას რევანში არ ეთქმის. რევანში ის იქნება, ჩემპიონთა ლიგის მომავალ ფინალში კვლავაც თუ შევხვდებით ერთმანეთს და იქ მოგვიგებენ. ვერც იმას ვიტყვი, უილბლოდ დავასრულეთო. ამერიკულ ტურნეს მოსამზადებელი დატვირთვა ჰქონდა. ასი პროცენტით არც ჩვენ ვიყავით მზად და არც „იუვენტუსი".

— კარლო ანჩელოტიმ პენალტების სპეციალისტი, ბრაზილიელი მეკარე დიდა სათადარიგოთა სკამზე დასვა, მიზეზი?

— არ ვიცი. ალბათ, ასე ჩათვალა საჭიროდ.

— თუმც არც აბიატის უთამაშია ურიგოდ. ჟურნალისტთა და სპეციალისტთა მაღალი შეფასებაც მიუღია...

— არაა გასაკვირი, მართლა მაგრად ითამაშა. კრისტიანი უმაღლესი კლასის მეკარეა.

— მანჩესტერული ფინალისგან განსხვავებით, ამჯერად პენალტი არ დაგირტყამს...

— მაგარი დაღლილი ვიყავი და ვერ გავრისკე. ანჩელოტიმ პენალტისტების სია რომ ჩამოწერა, შემეძლო მეთქვა, დავარტყამმეთქი, მაგრამ... სიცხისგან და დაღლილობისგან გათანგული ვიყავი, ფეხზე ძლივს ვიდექი, თორემ პრობლემა არ იქნებოდა.

— ნაკრებზეც გკითხავ. ალბათ, გაიგებდი, ივო შუშაკი ეროვნული გუნდის მწვრთნელი რომ აღარ იქნება...

— ჰო, ალბათ მიზეზი ისაა, „დინამომ" „ტირანას" ბარიერი რომ ვერ დაძლია.

— ამბობენ, მიზეზი სხვა არისო. მწვრთნელის კიდევ ერთხელ და მოულოდნელ შეცვლაზე რას იტყვი?

— რა თქმა უნდა, ცუდია. ვერ გამიგია, რაში სჭირდებათ, მწვრთნელებს პანტა-პუნტით რომ ხსნიან და ნიშნავენ. თუ გვინდა, რომ სერიოზულად ვიფიქროთ რაიმე წარმატებაზე, გვყავდეს ნორმალური გუნდი, არ გავხდეთ სხვების დასაცინი, ნაკრებს აუცილებლად უცხოელი მწვრთნელი უნდა ჰყავდეს. კეთილი ინებოს ფედერაციამ, გამონახოს აუცილებელი თანხა და ჩამოიყვანონ სერიოზული, სოლიდური და ავტორიტეტიანი სპეციალისტი.

— კულუარებში ამბობენ, ეროვნული გუნდის მწვრთნელად რეზო არველაძეს უპირებენ დანიშვნასო...

— არ ვიცი, ვინ რას აპირებს, მაგრამ, ჩემი აზრით, უცხოელი მწვრთნელი აუცილებელია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ის უნდა იყოს სერიოზული და სოლიდური დონის სპეციალისტი და არა ისეთი, არიქა, უცხოელია და ნაკრები მას ჩავაბაროთო. როდემდე უნდა ვიყოთ სხვების დასაცინი?!

გიორგი გაზაძიძე



რევაზ არველაძეს და მერაბ ჟორდანიას სალაპარაკო აქვთ

[illegible] ფოტოები



ალექსანდრე ამისულაშვილმა თავურით გატანილს თვალიც გააყოლა





ივო შუშაკი და სოსო ფრუიძე: ღიმილისა და სევდის წილი

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 2 ტური

# მცხეთაში მხნე მცხეთა ემცხეთათ



რეზო არველაძეს და მის ამქარს მცხეთელები ჩაილურის წყლით გაუმასპინძლდნენ

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

პირველ ტურში „მცხეთამ" 0:7 წააგო „ვიტ ჯორჯიასთან", მეორეში კი უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა მაღალი მიზნებისთვის შემართულ „ლოკომოტივს" ალალად მოუგო. მცხეთელებმა ძლიერი გუნდური სული გამოავლინეს, მეტოქეზე შმაგად იბრძოლეს, ნაკლები შეცდომა დაუშვეს და გამარჯვებაც გამოჭედეს.

ნამატჩევს „მცხეთის" დამრიგებელმა ვლადიმერ პანოვმა თქვა, მატჩის შედეგი ჩემთვისაც მოულოდნელია, გაგვიმართლა, ხოლო თამაშამდე აქცენტი ბიჭების ფსიქოლოგიურ მომზადებაზე გავაკეთე, რათა პირველ ტურში მომხდარი როგორმე დაევიწყებინათო. „ლოკომოტივის" თავკაცმა რეზო არველაძემ იმაზე დაიჩივლა, რომ ჩემმა გუნდმა საბრძოლო თვისებები ვერ გამოავლინა, ერთი შეხედვით მეტოქეზე უკეთესი ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ ბრძოლის და მოძრაობის გარეშე არაფერი გამოგვივიდაო.

„ლოკომოტივს" ორი მცველი აკლდა — ლაშა სალუქვაძე რუსულ „როსტსელმაშში" გასინჯვაზე რონინიანი კი წინა ტურში გაძევების გამო დისკვალიფიცირებული გახლდათ. რკინიგზელებისთვის ასეთი დანაკლისი მნიშვნელოვანი გამოდგა. „ლოკომოტივმა" ვერც ნახევარდაცვის ცენტრში იყოჩაღა, თუ არ ჩავთვლით სირაძის ეპიზოდურ აქტიურობას. მხოლოდ მარცხენა ფლანგი მუშაობდა დავით ქოქიაშვილის ხარჯზე. წინ გიორგი მიქაძე პირველ ტაიმში მართლაც გამოირჩეოდა, ლევან ხომერიკმა კი ფაქტობრივად ვერაფერი შემატა გუნდს.

„მცხეთიდან" ქებას ყველა იმსახურებს, მაგრამ ლაშა ქებაძე, თემურ თირქია და ბექა ნოზაძე მაინც უნდა გამოვყოთ, ვერც ლაშა ჩხაიძეს დავუკარგავთ ბურთის ფლობის ოსტატობას.

თირქიამ კარგი პასი გაუჭრა ლაშა ქებაძეს, რომელიც მარჯვნიდან შეიჭრა „ლოკომოტივის" საჯარიმოში, გიორგი ლომაიას კარის გასწვრივ ჩაწოდებული ბურთი კი ლადო კაკაშვილმა თავით ჩაჭრა კარში.

მალე „მცხეთას" მეორეც უნდა შეეგდო — ჩხაიძემ ჩინებული პასი უბოძა ქებაძეს, რომელმაც მიზანი ვერ გაასწორა.

სტუმართაგან მიქაძე დაემუქრა „მცხეთას", მაგრამ ხარიხას გადაავლო ბურთი. მერე სირაძის გადაცემის შედეგად ქოქიაშვილმა დაარტყა მახვილი კუთხიდან და ცინაძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

მეორე ტაიმი „ლოკომოტივმა" რიხით დაიწყო. ჯერ იყო და, მიქაძემ იჩქარა — ბურთი კარგად ვერ გადაუგდო კარიდან გამოსულ ცინცაძეს. მერე სირაძემ ხომერიკი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ შვეიცარიამოვლილმა ფორვარდმა ვერ დაჯაბნა მეტოქე. გატანის შანსი სირაძესაც ჰქონდა — ქოქიაშვილის ჩაწოდებულზე ყველაზე მაღლა ახტა, თუმც რთული სიტუაციიდან არაზუსტად უთავურა.

67-ე წუთზე დაწინაურების დიდებული შანსი გაანიავა „მცხეთამ" — მასპინძლებმა სტუმრები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და თირქია ლომაიას წინაშე ისე აღმოჩნდა, რომ ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ბურთს წაუცაცუნა და მეკარეც იოლად დაეუფლა მას.

81-ე წუთზე თენგიზ სიჭინავამ ქოქიაშვილს გაუჭრა პასი, რკინიგზელთა მარცხენაფლანგელმა მოხდენილად ჩააწოდა და სირაძემაც ნახტომში ლაზათიანი თავური დაახვედრა ბურთს — 1:1.

მაგრამ მცხეთელები როდი შედრკნენ. ლაშა ქებაძემ მარჯვენა ფლანგიდან კარგად გადაიტანა ბურთი საპირისპირო მხარეს. იქ ბექა ნოზაძე იყო მეტოქე მცველთაგან უმეთვალყურეოდ დარჩენილი. მან ბურთი მშვიდად დაამუშავა, მერე გზად ერთი მეტოქე მოატყუა და ახლოდან შანსი არ დაუტოვა ლომაიას და მთელ „ლოკომოტივს".

მცხეთა. 3 აგვისტო. 18 საათი. არმაზი. 500 (ტევადობა 3 000)

## მცხეთა 2:1 ლოკომოტივი

1:0 კაკაშვილი (4, ს.კ.), 1:1 სირაძე (81), 2:1 ნოზაძე (89)

მცხეთა: ცინაძე, ჯაფარიძე, გ. ქებაძე, ძაგნიძე, რაქვიაშვილი, ჩაჩუა, თირქია (ჩიტაური 76), ლ. ქებაძე, ნოზაძე, ჩხაიძე, მელიქია
სათადარიგონი: ოდიკაძე, ამბიძე, მუშუქია, არეშიძე
მწვრთნელი: ვლადიმერ პანოვი

ლოკომოტივი: ლომაია, ზამთარაძე, ვაშაკიძე, კაკაშვილი (ძლიერი 70), კოგონაშვილი (ბურნაძე 46), სირაძე, სიჭინავა, ქოქიაშვილი, გ. ორიანი (უგრეხელიძე 29), მიქაძე, ხომერიკი
სათადარიგონი: გრიშიკაშვილი, ხუბუტია, სოსელია, კობახიძე
მწვრთნელი: რევაზ არველაძე

გაფრთხილება: ჩაჩუა (26)

მსაჯები: ა. ორდინიძე (რონ); ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი (ორივე თბილისი); კვარაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიშვ; დირექტორი: მ. ანჯაფარიძე

ჯარიმა: 14-15; კუთხური: 1-6; კარისკენ დარტყმა: 3-7; კარში დარტყმა: 2-3; თამაშგარე: 2-3



რკინიგზელთა პირველი შოკი მასპინძელთა ეს გოლი იყო



მცხეთელებმა გასაქანი არც დავით სირაძეს მისცეს

# კლუბები ლიგურად ხვალ ითათბირებენ

გენერალურ სპონსორ „კოკა-კოლათი" და პარტნიორებით შემოკრებილი პროფესიული საფეხბურთო ლიგა სადაცაა თავის ხელს დაატყობს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს. ხვალ პროფლიგის ეგიდით ჩემპიონატში მონაწილე კლუბები ერთხელაც შეიკრიბებიან და ალბათ საბოლოოდ შეთანხმდებიან მემორანდუმზე. როგორც კი დოკუმენტს ხელი მოეწერება, სტადიონებზე გენსპონსორის, მთავარი სპონსორის („საქართველოს ბანკი") და პარტნიორების სათანადო ფირნიშები დაიდგმება. ყოველივე მესამე ტურისთვის უნდა მოესწროს და ტელეტრანსლაციებიც მერელა მოეწყობა — ლიგის პარტნიორი ტელეარხები „იმედი" და „პირველი არხი" არიან.

პროფლიგაში არის საკადრო სიახლეც — ამ ორგანიზაციის პრესატაშედ პაატა ბურჯალიანი დაინიშნა. უახლოეს მომავალში კი იმ სტადიონების ტერიტორიაზე, სადაც ეროვნული ჩემპიონატის მატჩები გაიმართება, დაიდგმება სპეციალური ჯიხურები, სადაც მხოლოდ პროფლიგის პარტნიორი კომპანიების ნაწარმი გაიყიდება — მოკლედ, გაგრილდებით „კოკა-კოლათი", დანაყრდებით „ნიკორას" და „სნიკერსის" კალორიებით და თუ სტომატოლოგის რჩევას ენდობით, „სტიმოროლსაც" დაღეჭავთ.

დავით თავართქილაძე

## გერმანია

II ბუნდესლიგა. I ტური

კარლსრუე 2:3 ნიურნბერგი

## ჩეხეთი

II ტური

ზლინი 2:0 ბუდეიოვიცე

ტეპლიცე 1:0 პრჟიბრამი

## ნორვეგია

ტიპელიგა. XV ტური

ოდ გრენლანდი 1:1 სტაბეკი

## შვედეთი

ალსვენსკა. XVI ტური

გიოტებორგი 1:0 იოსტერი

ლანდსკრონა 1:0 მალმიო

იორებრო 0:2 ჰალმსტადი

აიკ 1:3 ჰამარბი

## ირლანდია

პრემიერდივიზიონი

გადადებული მატჩი

დუბლინი 2:2 შემროკ როვერსი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

თბილისი. 2 აგვისტო. 18 საათი. ეროვნული. 3 000 (ტევადობა 70 900)

## დინამო 3:0 ტორპედო

1:0 ამისულაშვილი (18), 2:0, 3:0 ახალაია (64, 72)

**დინამო:** ზოიძე, კანდელაკი, მაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოსი (სამხარაძე 82), კვირკველია, ბურდული, გოგობერიშვილი, დარასელია (სახვაძე 85), ახალაია, მელქაძე (იაშვილი 72)
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**ტორპედო:** სტურუა, მახვილაძე, ხვადაგიანი, ლ. ჭელიძე, თოდუა, გამეზარდაშვილი, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე (ყიფიანი 46), ახალკაცი, ბორომბი (ქუთათელაძე 46), მუშკუდიანი (კვერნაძე 65)
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**გაფრთხილება:** იაშვილი (74)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

**ჯარიმა:** 16-9; **კუთხური:** 14-5; **კარისკენ დარტყმა:** 9-2; **კარში დარტყმა:** 13-4; **თამაშგარე:** 2-0

# სადა ხარ, იონა, წაგვიღო რიონმა

**კობა ინასარიძე**

**ჯერაც** კარგად გვახსოვს, რა შავი დღე აყარა გაზაფხულზე „ტორპედომ" „დინამოს". მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე რიონისპირელებმა ორივე პრინციპული მატჩი მოუგეს საჩემპიონოდ შემართულ დედაქალაქელებს. ასათიანის, დიდავას და ქემოკლიძის გარეშე მოთამაშე „ტორპედო" მაინც ძალას წარმოადგენდა. საქმის ნახევარზე მეტს ზურაბ იონანიძე აკეთებდა და სწორედ მისი ძალისხმევით ირგუნეს ქუთაისელებმა ვერცხლი.

შაბათს „ტორპედოს" აღარ ჰყავდა იონანიძე. მართალია, კარში ყოჩაღად იდგა სტურუა, მაგრამ მასპინძელთა აურაცხელ შეტევას წინ ისიც ველარ აღუდგა. ძნელია იმ გუნდის მეკარეობა, სადაც საკუთარი მცველებიც კი გიტევენ.

ციდან ვარსკვლავები არც „დინამოს" მოუწყვეტია, მაგრამ შუშაკის ბიჭებმა მეტოქეს ადვილად მოუგეს. ჩემპიონების შუა ხაზმა სტუმრების ნახევარდაცვას მუსრი გაავლო. ქუთაისელებს ბურთი სანატრელი გაუხდათ და მთელი მატჩის მანძილზე არც ფეხბურთელი აღმოაჩნდათ ისეთი, რომელიც გაწყვეტილ და დაბნეულ-გაბნეულ რგოლებს შეაკავშირებდა.

ეპიზოდურად „ტორპედო" თავის თამაშს პოულობდა, სასურველ რიტმს დაიჭერდა ხოლმე, მაგრამ რაც შაშიაშვილს და კომპანიას გასცდა, ის ზოიძის ლუკმა იყო. საპირისპირო კარში კი სტურუას საქმე არ ელეოდა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან ქუთაისელთა კარის ბადე მაინც შეირხეოდა.

„კიდევ ერთი საინტერესო მატჩი დასრულდა", თქვა ნამატჩევს პრესკონფერენციაზე „დინამოს" პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ. ამის გამგონე სოსო ფრუიძემ ტუჩი მოიკვნიტა. თუმც ბატონ სოსოს ობიექტურობის გრძნობა წამითაც არ დაუკარგავს, ჩემი გუნდის თამაშიდან გამომდინარე, ასეთ ირონიას ნამდვილად ვიმსახურებთო.

ივო შუშაკმა კი, იმიტომ მოვიგეთ, რომ ეს მეტოქეზე მეტად გვსურდაო. საერთოდ, შაბათს ვერავინ გაიგო, რა უნდოდა „ტორპედოს". ყველაზე ნაკლებად, ალბათ, ფეხბურთის თამაში.

„დინამომ" პირველი გოლი მე-18 წუთზე გაიტანა. დარასელიას მორიგ კუთხურს ამისულაშვილის გოლი მოჰყვა. ეს ხომ ათასჯერ ნანახი კომბინაციაა. ვიტალი შორეული ძელისკენ ჰკიდებს ბურთს, იქ ერთი დინამოელი (ამ შემთხვევაში კვირკველია) ბურთს საჯარიმოს სიღრმისკენ აბრუნებს, სადაც კიდევ ერთი მასპინძელი მოთმინებით ელის შანსს.

„ტორპედო" კი იდგა მონუსხული, თითქოს მსგავსი არაფერი ენახოს, არადა, ადრე ბევრი ასეთი შეტევა მოუგერიებიათ რიონისპირელებს.

მეორე ტაიმში სტუმართა საწყისი აქტიურობის შემდეგ „დინამომ" კიდევ ორი გოლით იხეირა. დუბლიც ახალაიამ მიითვალა, რომელმაც ჯერ კვირკველიას დაუფასა გარჯა და მერე ქუთაისელი ლაშა ჭელიძის უზადო პასიც შეიშნოვა. ამის შემდეგ სტუმართა ორიოდ სახიფათო მომენტის აღწერაც ნამდვილად არ ღირს. „დინამოს" რა უჭირს, ალბანური სირცხვილი ხალხმა უკვე მოინელა, მართალია, შუშაკს და მის სამწყსოს „ტირანას" არცთუ იშვიათად წამოაძახებენ, მაგრამ „ტორპედოს" ელის ლანსი, საიდანაც ქართულ საკლუბო ფეხბურთს კიდევ ერთი სირცხვილი უმზერს.



ლევან მელქაძის „დინამო" „ტორპედოზე" მაღლა ახტა



მესამე გოლი „ტორპედოს" კარში ასეთი იყო

# რა სიმშვიდეა?!

**გოჩა ჟანაშია ბათუმიდან**

ბათუმი. 2 აგვისტო. 18 საათი. დინამო. 800 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 0:1 კოლხეთი

0:1 თაყაძე (78)

ტულუშმა ვერ გაიტანა პენალტი (37, ხარიხა)

**ბათუმი:** ქვაჩახია, მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, მანჩხავა, ქაცარავა, კობიძე, ფირცხალაიშვილი, დარჩიძე, ფურცხვანიძე (ბესიკ თედორაძე 66), კაკალაძე
**სათადარიგონი:** ა. ბალაძე; რომანაძე, დუმბაძე; ბეჟანიძე; კაჭარავა
**მწვრთნელი:** ვალერიან ჩხარტიშვილი

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, გოროზია (დ. ნარსია 86), ქუტიძე, ლონლაძე, მინდაძე, მ. ქობულაძე, აკობია, თაყაძე, ტულუში, გოდერძიშვილი (მალანია 88), ტყებუჩავა (გაგუა 46)
**სათადარიგონი:** ჩემია; თურქია, მარგალიტაძე, ნ. ნარსია
**მწვრთნელი:** გია ტყებუჩავა

**გაფრთხილება:** გაგუა (76), ქუტიძე (76), თაყაძე (78), ტულუში (79)

**მსაჯები:** დ. ხანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), ა. ნონიკაშვილი (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** გ. კეტაშვილი

**ჯარიმა:** 21-22; **კუთხური** 6-4; **კარისკენ დარტყმა** 4-4; **კარში დარტყმა** 2-5; **თამაშგარე** 4-7

**შაბათს** მეთხუთმეტე ეროვნულმა ბათუმშიც შემოაბიჯა, ოღონდ ეს ფაქტი, უკვე რამდენიმე წელია, სულ უფრო ნაკლებ აყოტაყეს იწვევს სეზონის დასაწყისს „ბათუმი", როგორც წესი, შეძლებისდაგვარად მზად ხვდება, მაგრამ ტრიბუნებზე ხალხის ნაკლებობა სულ უფრო საგრძნობია.

გაგანია ზღვის სეზონია აჭარის დედაქალაქში და ამინდიც შესაფერისია. ზღვაც საკმაოდ მშვიდი იყო და ზღვისპირელთა დერბიც ასეთივე გამოდგა. აშკარაა, ახალი სეზონი „ბათუმისთვის" ურთულესი იქნება, რადგან მის თამაშში სრულებით არ იგრძნობა პერსპექტივა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

უცნაური სიტუაციაა თავად გუნდის ხელმძღვანელობაშიც. ოფიციალურად მთავარ მწვრთნელად კვლავაც ასლან ბალაძე ითვლება, თუმც რეალურად გუნდის თავკაცად ვალერიან ჩხარტიშვილი მოგვევლინა, რომელიც სათადარიგოთა სკამიდან აკონტროლებდა სიტუაციას, ხოლო ბალაძე ლოჟაში იჯდა.

ასეა თუ ისე, „ბათუმმა" კვლავ წააგო და დიდი ვერაფერი შთაბეჭდილებაც დატოვა. ერთია, ზღვისპირელებს მონდომება არ აკლიათ, მაგრამ ეს საკმარისი როდის ყოფილა.

„კოლხეთსაც" არ ჩამოუკრეფია ციდან ვარსკვლავები, თუმც მეტოქესთან შედარებით ტაქტიკურადაც და ფიზიკურადაც უკეთ გამოიყურებოდა. ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმზე ითქმის, რომელშიც კოლხებმა საკმაოდ გააზრებული ბურთაობით მასპინძლებს საკუთარი თამაში მოახვიეს თავს და მოგვიანებით მიზანსაც მიაღწიეს.

სტუმართ გოლის გატანა შესვენებამდეც მართებდათ. ერთ-ერთ ეპიზოდში მიხეილ ქობულაძემ მეტოქის საჯარიმოში ბურთი მოიხელთა, კორპუსით შეინარჩუნა და ქაცარავაც საპენალტედ შეაცდინა. თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მისვლა ტულუშმა ითავა და ძლიერი დარტყმით ოდენ ხარიხა შეაზანზარა. სამიოდ წუთში ქაცარავას შეცდომის გამოსწორების შანსი მიეცა. დარჩიძის პასით ის ბათიაშვილს პირისპირ შეეყარა, მაგრამ მახვილი კუთხიდან გატანა ვერ მოახერხა.

საერთოდ, ბათუმელთაგან მხოლოდ დარჩიძეს თუ გამოვარჩევთ. მან სამი ისეთი გადაცემა გააკეთა, საგოლეს რომ ეტყვიან. ზემოთქმულის გარდა დარჩიძის პასით კაკალაძეს უკვე დებიუტშივე შეეძლო ხეირი ენახა. მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, დარჩიძისვე წამოწყებული იერიში ფურცხვანიძემ რომ გააგრძელა და კარის წინ კაკალაძეს მიართვა ბურთი. ამან კარში დარტყმას მარჯვნიდან შემორბენილი კობიძისთვის პასი ამჯობინა და მწარედაც ინანა, აკობიამ კოლხები უეჭველი გოლისაგან იხსნა.

აქედან მოყოლებული „კოლხეთი" გაცილებით უკეთ ათამაშდა. კარგად შემოვიდა გაგუა, რომელსაც თამაშის დალაგება არ გასჭირვებია. მისი შორეული დარტყმა „ბათუმის" ამ იერიშის მყისიერი პასუხი გამოდგა — ქვაჩახია ფხიზლად დაუხვდა.

თანდათან მწვავდებოდა სიტუაცია მასპინძელთა საჯარიმოში. 65-ე წუთზე ლონლაძე ხუთი მეტრიდან უხერხულ სიტუაციაში ჩაწოლილი ურტყამდა ბურთს. მას სიზუსტემ უმტყუნა, თორემ „ბათუმს" მამაზეციერიც ვერ უშველიდა.

და მაინც, მასპინძლები გოლს ვერ გადაურჩნენ. 78-ე წუთი იყო, მარცხენა ფლანგზე აკობიამ რომ გაილალა. გზად რამდენიმე მცველს ჩაუდრიბლინგა და კარის წინ ეულად მყოფ თაყაძეს დაასვა ბურთი ფეხზე. მასაც ცარიელი კარის დალაშქვრა არ გასჭირვებია.

„ბათუმი" გასათანაბრებლად დაიძრა, მაგრამ რალაც უჯიგროდ. ერთადერთხელ შეეძლოთ გატანა, სულ ბოლოს, მაგრამ ფირცხალაიშვილის თავური მცირედით ასცდა კარს.

ოთხ წუთში ოთხჯერ ამოული ყვითელი კოლხებს დავით სანაიამ, თუმც ეს სულაც არ ნიშნავს, სიტუაცია გამწვავებულიყო, უბრალოდ, გაგუას და ტულუშს შელაპარაკება არ აპატია მსაჯმა, ქუტიძე დროის გაყვანისთვის დასაჯა, ხოლო თაყაძე გოლის ემოციურად „აღნიშვნისთვის".

# იგრძენი განსხვავება მცხეთიდან გორამდე

გორი. 3 აგვისტო. 18 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 3:0 ვიტ ჯორჯია

1:0 ძოძუაშვილი (28), 2:0 ლაცაბიძე (65), 3:0 ძოძუაშვილი (90)

| | |
|---|---|
| დილა: სოლოლაშვილი, ხაჭაპურიძე, ლ. გოჩაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ლაცაბიძე, გ. ჩიტაია, სულთანიშვილი (ოლგუხაშვილი 80), ჯობაძე (საყვარელიძე 82), ა. კაიდარაშვილი, ძოძუაშვილი (რაზმაძე 90) | ვიტ ჯორჯია: მერლანი, იმედაშვილი, კვახაძე, ინწკირველი, დიდმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (დათუნაიშვილი 67), მარცვალაძე, გ. გოჩაშვილი (ლ. მერებაშვილი 46), ადამია (ფეიქრიშვილი 62), გოცირიძე |
| სათადარიგონი: თ. ილურიძე, მარლიშვილი, ხანიშვილი, მაისურაშვილი | სათადარიგონი: მამარდაშვილი, ზ. ლაბაძე, ბერელიძე |
| მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი | მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე |

გაფრთხილება: ლომიძე (67)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე; დირექტორი: გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 10-12; კუთხური: 8-6; კარისკენ დარტყმა: 7-3; კარში დარტყმა: 5-6; თამაშგარე: 2-4

ვაჟა ხუციშვილი გორიდან

**მატჩის** დაწყებამდე გადაწყდა, რომ ამიერიდან გორის სტადიონი თენგიზ ბურჯანაძის სახელობისა იქნება, რომლის ხსოვნასაც ხუთასამდე გულშემატკივარმა წუთიერი დუმილით მიაგო პატივი.

ჩრდილის მაძებარმა ქომაგებმა შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულ დავით ქობლიანიძისა და გორის რაიონის გამგებელ პაატა ჩხეიძის მოკლე სიტყვაც მოისმინეს. მათ გუნდს ზეექვსეული უსურვეს და საუბარში ჩემპიონობისთვის ბრძოლაც ახსენეს. შესაძლოა, გორელები გულის კუნჭულში სამეულში მოხვედრაზეც ფიქრობენ.

ზურაბ ხორგუაშვილის გუნდი ბალაშვილით, ლაცაბიძით და კაიდარაშვილით აშკარად გამდიდრდა. სამივე რგოლში გაძლიერებულ „დილას" გოლი ვერც „კოლხეთმა" გაუტანა და ვერც „ვიტ ჯორჯიამ". წინა ტურში „მცხეთაზე" გამოცდილ ვეტერინარულ იარაღს გორელებთან პირი დაუბლაგვდა.

ზურაბ ბერიძემ გუნდის პირობითი წყობა შეცვალა: ჩემპიონატის პირველი მატჩისგან განსხვავებით სამი მცველით დაიწყო: ინწკირველს გვერდებიდან კვახაძე და იმედაშვილი ამოუყენა. ნაბიჯით წინ იყო დიდმელაშვილი, რომელიც ოთხკაციან ნახევარდაცვას ეხმარებოდა — ნოზაძეს და მარცვალაძეს ფრთებზე, გოჩაშვილ-დოლიძის წყვილს კი ცენტრში. ფრონტის წინა ხაზზე ადამია და გოცირიძე იბრძოდნენ.

მასპინძელთა მწვრთნელს მეტოქისგან განსხვავებით ორი საყრდენი ჰყავდა — ლომივით მებრძოლი კაპიტანი ლომიძე და ლაცაბიძე. დაცვას ბალაშვილი, გოჩაშვილი და ხაჭაპურიძე ადუღაბებდნენ. კიდეებზე სულთანიშვილი და ჩიტაია შრომობდნენ, ჯობაძეს კი მეგოლეების და დანარჩენების დაკავშირება ევალებოდა.

მალევე გამოჩნდა, რომ გორის „დილა" „მცხეთა" არ იყო. სტუმართა ფლანგური შეტევები კარის წინ ჩაწოდებით სრულდებოდა, მაგრამ დამხვდურებმა ფაქტობრივად ყველა საჰაერო ბრძოლა მოიგეს. ქართლური დაცვის საიმედოობამ ვიტელთა მცდელობა გააუფასურა.

ზურაბ ბერიძემ ჰაერში წაგებულის ხმელეთზე მოგება სცადა და „აგორავე, აგორავეს" ძახილით შეგირდებს საჯარიმოსთან ბურთით „ქსოვა" სთხოვა.

შედეგად სამი მომენტი შეიქმნა. სტუმრებმა მასპინძელი მცველები კარიდან ათ მეტრამდე მისწიეს. სამჯერ დაურტყეს სოლოლაშვილს და სამივეჯერ უხეიროდ. მომენტები კი ისეთი იყო, „დილას" ქომაგები რომ ააფორიაქა.

საკუთარ კართან ზამბარასავით ჩასაფრებული გორელები ტაიმის შუაწელში საგოლედ გაიშალნენ.

ჩიტაიამ მარჯვენა ფლანგზე ჩაირბინა და თითქმის გვერდითი ხაზიდან ვიტელთა საჯარიმოში ჩააწოდა. მერლანი ამ ეპიზოდს თავიდან ბოლომდე ხედავდა. კარის ხაზზე მდგომი მეკარისგან ათიოდ მეტრში მხოლოდ ორი ფეხბურთელი იყო — ძოძუაშვილი და ვიტელი მცველი. ძოძუაშვილმა მცველს ნახტომში აჯობა და თავური დაჰკრა, რაც მერლანისთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ძელთან შეცურებულ ბურთს გვარიანად გაწელილიც კი ველარ მისწვდა — 1:0.

შესვენებამდე სტუმრებს გათანაბრება შეეძლოთ. მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ დოლიძეს მხოლოდ ზუსტად დარტყმაღა მართებდა, მაგრამ...

ჰაერში მასპინძელთა უპირატესობა მეორე ტაიმშიც გამოჩნდა. საკუთარი საჯარიმოს საჰაერო სივრცეში მეტოქე ხომ არ გააჭაჭანეს და მეორე გოლიც თავურით შეაგდეს.

კუთხურიდან სულთანიშვილის ჩაწოდებულ ბურთზე ლამის მთელმა „ვიტ ჯორჯიამ" ლაცაბიძე დაპატიჟა, ჰა, მოდი, დაკა, გაიტანეო. იმდენად უცნაური ეპიზოდი იყო, რომ გოლის გასვლის მომენტში მხოლოდ ორი ობიექტი მოძრაობდა: ლაცაბიძე და ბურთი, დანარჩენები კი თითქოს გაშეშდნენ.

ვიტელთა მთავარ მწვრთნელს თადარიგში გუნდის გამომცოცხლებელი არ ჰყავდა და შეცვლაზე შესულებმა სტუმართა შეტევებს ბევრი ვერაფერი შეჰმატეს. თბილისელებმა იმასღა მიაღწიეს, რომ მეტოქის ნახევარზე ბურთს დიდხანს ფლობდნენ.

ბოლო წუთებზე გორელები მერლანთან პირისპირ ორჯერ გავიდნენ და ერთხელ იხეირეს. კაიდარაშვილმა ცარიელ კარში სასწაულებრივ ვერ შეაგდო, ძოძუაშვილმა კი შორეულ კუთხეში შეაცურა ბურთი და ქომაგები ჩემპიონობაზე აალაპარაკა.



გორელებმა მირზა მერლანს გოლი და ჯაფა არ მოაკლეს



გაგა ჩიტაიას (შუაში) „დილამ" ვიტჯორჯიელები წაღმა-უკუღმა ატარა

თბილისი. 2 აგვისტო. 18 საათი. ლოკომოტივი. 200 (ტევადობა 25 600)

## სპარტაკი 0:3 თბილისი

0:1 ჯაკობია (52), 0:2 ხოჯავა (88), 0:3 მიკუჩაძე (90)

| | |
|---|---|
| სპარტაკი: მამალაძე, ჟვანია, წურწუმია, სულაქველიძე, კოტრიკაძე, იმნაიშვილი (ჩიკვილაძე 87), კ. ალადაშვილი (კვერენჩხილაძე 67), ეგაძე, ბოლქვაძე, ებანოიძე, ტატანაშვილი | თბილისი: ნაჭყებია, მემარნიშვილი, სიდამონიძე, მიქიაშვილი (ხარებავა 59), ხოჯავა, მესხი, გიორგი ნუგზარის ძე ქელიძე, ადეიშვილი (ელიავა 67), დავითაშვილი (მიკუჩაძე 67), ჯაკობია, დათვაძე |
| სათადარიგონი: შეყრილაძე, კუკულაძე, დონდოლაძე, შელია, გ. დოლიძე | სათადარიგონი: ივარდავა, ლოლაძე, ნადირაშვილი, გიორგი ნოდარის ძე ქელიძე |
| მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი | მწვრთნელი: თემურ ლორთქიფანიძე |

გაფრთხილება: ბოლქვაძე (13), კოტრიკაძე (15), მესხი (16), წურწუმია (41), სულაქველიძე (45), სიდამონიძე (53), ელიავა (89)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ნ. რუხიშვილი, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); მ. მაისურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია; დირექტორი: გ. ჯიშკარიანი

ჯარიმა: 30-26; კუთხური: 4-5; კარისკენ დარტყმა: 4-5; კარში დარტყმა: 1-8; თამაშგარე: 2-4

# ჭახაჭუხი და წკაპ-წკუპ

გიორგი ვაშაკიძე

**56 ჯარიმა,** 7 გაფრთხილება, 3 გატანილი და ორიც არჩათვლილი გოლი, ორასიოდე მაყურებელი და ეს ყველაფერი შაბათის ვაკურმა მატჩმა დაიტია.

არ შევცდები თუ ვიტყვი, „სპარტაკისთვის" საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა ნამეტანი ფუფუნებაა, გუნდი უკვე აუტსაიდერია და ძალიან გაუჭირდებათ ავთანდილ ნარიაშვილის შეგირდებს ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

„სპარტაკს" არ ჰყავს კარზე დაგეშილი ფორვარდი. ტანმაღალი ტატანაშვილი „თბილისის" მცველებთან მატჩის დასაწყისში საჰაერო ორთაბრძოლებისას რაღაცას კი ცდილობდა, მაგრამ მერე გაგრძელებას ველარ პოულობდნენ მასპინძლები.

პირველ ტაიმში თავი არც პირველი ტურის სკანდალური მატჩის მონაწილე „თბილისს" მოუკლავს. თემურ ლორთქიფანიძის შეგირდები უფრო გონივრულ, გამართულ ფეხბურთს თამაშობდნენ. მართალია, ტაიმი 0:0 დასრულდა, მაგრამ ცხადი იყო, „თბილისი" მეორეში თუნდაც ერთ გოლს აუცილებლად გაიტანდა.

შესვენებისას, როგორც ჩანს, ლორთქიფანიძემ აშკარად შეაფუცხუნა თავისი ბიჭები. ისინიც ამოქმედდნენ და ბდღვირი ადინეს მეტოქეს. მასპინძელთა კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა. მეკარე მამალაძე პირველ ტაიმში ცოტა უსაქმოდ იყო. მეორეში კი ძალიან დაიტვირთა.

...დასაწყისშივე ძალიან ხისტი, უხეში თამაში გაჩაღეს ორივე გუნდის ფეხბურთელებმა, უბრძოლველად გოჯსაც არ უთმობდნენ ერთმანეთს, ძვალთა მტვრევა და ჭახაჭუხი ხშირად ჩაესმოდათ „ლოკომოტივზე" შეკრებილთ.

მერე „თბილისიც" დალაგდა და... 23-ეზე სულიკო დავითაშვილმა გოლი გაიტანა, თუმც გვერდითმა რუხიშვილმა თამაშგარე დააფიქსირა.

მე-40 წუთზე ლაშა ჯაკობია რჩებოდა მამალაძესთან პირისპირ, მაგრამ კარიდან გამოვარდნილმა მეკარემ ივარგა, ფეხებში ჩაუვარდა, ბურთი აართვა და ხიფათიც განმუხტა.

52-ეზე კი ანგარიშიც გაიხსნა. დათვაძე-ჯაკობიამ ერთი შეხებით გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია... წკაპ-წკუპ და მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შევარდნილი ლაშა მცველებს იოლად გაუსწორდა, მამალაძეც „დააწვინა" და მახვილი კუთხიდან დაბალი დარტყმული შეაგდო.

58-ეზე მეორე გვერდითმა, გაბრიაძემ დააფიქსირა თამაშგარე, ჯაკობიამ კი გაიტანა ადვილად, მაგრამ მანამდე პასის მიმცემი დავითაშვილი იყო ჩარჩენილი.

73-ეზე კურიოზისმაგვარი რამ მოხდა. „სპარტაკი" დაახლოებით ოცდახუთიოდე მეტრიდან ჯარიმას ურტყამდა, სტუმრებს კი რატომღაც ცოცხალი კედლის აღმართვა დაავიწყდათ. მეკარე რეზო ნაჭყებიაც ამან გაახელა, ნახევარმცველებო, კე-დელ-შიო, იმისთანა იღრიალა, გაფანტულმა ნახევარმცველებმაც მოძუძგეს და 6-კაციანი კედელიც უმალ აღმართეს.

86-ეზე მშვენიერი გოლი გაიტანა საყრდენმა ხოჯავამ. არანაკლები სილამაზის გამოდგა მესამე გატანილიც. „თბილისმა" კონტრშეტევაზე დაიჭირა მეტოქე, მის ნახევარზეც ელვისებური სისწრაფით გადავიდა, შეტევაც მარაოსავით გაიშალა, ბოლოს ბურთი შეცვლაზე შესულ მიკუჩაძეს დარჩა, მანაც გაინავარდა, საჯარიმოში მარჯვენიდან შეიჭრა და მის შესახვედრად გამოვარდნილ უკვე ჩაწოლილ მამალაძეს თავზე გადაავლო ბურთი.

და რა ქნეს მასპინძლებმა? მხოლოდ ერთხელ დაარტყეს კარში, ისიც ჯარიმა ბოლო წუთზე და მცირერიცხოვან ქომაგს თავი მხოლოდ ასე დაამახსოვრეს, ნაჭყებიამ ჩინებული ნახტომით კუთხურზე მოიგერია.

ბოლნისი. 2 აგვისტო. 18 საათი. თემურ სტეფანია. 2 000 (ტევადობა 4000)

## სიონი 4:1 მერცხალი

0:1 გ. წივწივაძე (44+3), 1:1 გონჩაროვი (51), 2:1 გაბისკირია (58), 3:1 ჰ. წივწივაძე (74), 4:1 ილურიძე (76, ა.გ.)

**სიონი:** ვოლკოვი, კვეკვესკირი, ხუჯაძე, ქიქვაიშვილი, გუჩუა, გაბიდაური, გაბისკირია, ფანჩულიძე (ჰ. წივწივაძე 46), კოშკაძე, გონჩაროვი (ბაქრაძე 76), ისიანი (გ. შენგელია 73). *სათადარიგონი:* ა. ლაბაძე, დავითაშვილი, ბ. შენგელია, დარსანია. **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**მერცხალი:** გია გოგუა, კობაური, კვირკვია, ქალიაშვილი, ილურიძე, გ. წივწივაძე, მჟავანაძე, ხარაია, ჭინჭარაული, ხუჭუა, მებონია (გრიგორიევი 64). *სათადარიგონი:* როხაძე, ებრალიძე, სულაკაური, აკურაშვილი, კალანდარიშვილი, მანჯგალაძე. **მწვრთნელი:** სერგო გაბელაია

**გაფრთხილება:** გუჩუა (39), მებონია (41), ჭინჭარაული (77)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ცირდავა (ცულუკიძე); ი. აფციაური (დუშეთი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. სილაგავა; **დირექტორი:** ნ. კაკულია

ჯარიმა: 17-21; კუთხური: 3-2; კარისკენ დარტყმა: 6-3; კარში დარტყმა: 9-4; თამაშგარე: 4-6



ვაჟა [illegible] ფოტო

„თემურ სტეფანია" ისე გაკოხტავდა, რომ საევროპოდაც არ დაიწუნება

# მახარაძეს გული და თავდასხმა შეუთამაშდა

**პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**ყოჩაღ ბოლნისელებს!** უეფას თასის საგზურმა და ფეხბურთის სიყვარულმა კიდევ ერთი კარგი საქმე აკეთა. შაბათს „თემურ სტეფანიაზე" მისულმა ორი ათასამდე მაყურებელმა ქვემოქართლელთა ორთვიანი გარჯის შედეგი იხილა. ოთხტრიბუნიანი, კოხტად გაწყობილი, ჩინებულსაფარიანი ოთხიათასიანი ბოლნისური სტადიონი გულგრილს ვერ დატოვებს მნახველს. თამაშიც ისეთი გამოდგა, ახალი სტადიონის და ბოლნისში სეზონის გახსნას რომ შეეფერებოდა. ჰოლანდიურ ბალახზე ნარინჯისფრად გამოწყობილმა „სიონმა" ჩვეული შემართება ანახა დებიუტანტ „მერცხალს". არადა, „სიონმა" მთელი პირველი ტაიმის მანძილზე, რომ იტყვიან, გვარიანად ანერვიულა ქომაგი. ბოლნისელები თავდაჯერებულნი დაუხვდნენ სერგო გაბელაიას გუნდს. 4-5-1 სქემაზე გაწყობილ გურულებს სათამაშო დისციპლინა არ დაეწუნებოდათ, პირველ ტაიმში გამეცადინებულად აგორეს ბურთი და კონტრშეტევებზე ჩასაფრებულებმა ტაიმის ბოლოს ხეირიც ნახეს. „მერცხალის" გოლი ზაზა კვეკვესკირის შეცდომას მოჰყვა. მას სიჩქარეაკრებილი ხუჭუა წამოეპარა, ბურთიც აართვა და თავიც წააქცევინა საჯარიმოში. პენალტი აშკარა იყო და გოჩა წივწივაძემ უნაკლოდაც შეასრულა — 0:1.

შესვენებაზე ხმამაღალი საუბარი ისმოდა მასპინძელთა გასახდელში, სადებიუტო და თანაც საშინაო მარცხის წინაშე მდგარმა თემურ მახარაძემ გვარიანად აჯანჯღარა ფეხბურთელები, ამან გამოცდილ მწვრთნელზე ისე იმოქმედა, რომ ნამატჩევს შეუძლოდ გახდა და პრესკონფერენციაზე ველარ მოვიდა. თუმც იმ დროისთვის ბოლნისელთათვის ყველაფერი სასიკეთოდ იყო, მახარაძის გონივრულმა შეცვლებმა და ტაქტიკურმა გადაადგილებებმა თავისი გააკეთა.

ძნელად თუ გაიხსენებს კაცი, ბოლოს როდის ითამაშა მახარაძის გუნდმა სამი თავდამსხმელით. საჭირო შედეგზე ორიენტირებული ეს მწვრთნელი ყოველთვის სიფრთხილით გამოირჩეოდა, მაგრამ „პუხოვთან" კარსმომდგარი ორრაუნდიანი ბრძოლის წინ ფსიქოლოგიური განწყობის შესაქმნელად „სიონს" ჰაერივით სჭირდებოდა სამი ქულა და მახარაძემაც გარისკა — შაბათს უხასიათოდ მყოფი ფანჩულიძის ნაცვლად ჰამლეტ წივწივაძე შეუშვა მოედანზე და ეს უკანასკნელიც ხმაშეწყობილად შეუამხანაგდა შეტევაში გონჩაროვს და ისიანს. „სიონმა" ტემპი გაზარდა, ქორივით დააცხრა მეტოქეს და მეორე ტაიმის დაწყებიდან თოთხმეტ წუთში თამაშიც გაკეთდა. ჯერ გონჩაროვმა გაუტანა შორეულ კუთხეში გოგუას, 58-ე წუთზე კი ბოლნისელთა მრავალსვლიანი კომბინაცია, ერთბაშად 6 ფეხბურთელი რომ მონაწილეობდა, ხუჯაძის ფლანგური ჩაწოდებით გაგრძელდა. საჯარიმოში მცველისგან ასხლეტილ ბურთს კი ყუმბარისებური დარტყმით გაბისკირიამ მიუჩინა კარში ადგილი. ამ გოლმა ისედაც მოღლილ სტუმრებს წინააღმდეგობის სურვილი მთლად გაუქრო, ბურთი და მოედანი ბოლნისელებს და გია გოგუას დარჩათ. მეკარის თავგანწირვამ არაერთხელ იხსნა „მერცხალი", თუმც ბოლოს გოგუაც დანებდა. მახარაძემ მორიგი შეცვლა „გაარტყა" — გიორგი შენგელია ოციოდე წამის შესული იყო მოედანზე, ორ მცველთან მებრძოლმა საჯარიმოში მყოფ წივწივაძეს ფეხზე რომ დაასვა ბურთი, ჰამლეტმაც, გატანა ასე უნდაო და, მოხდენილი, ეფექტური დარტყმით სტატუს-კვო აღადგინა წივწივაძეების გოლებში. ამ მომენტიდან ორი წუთიც არ იყო გასული, წივწივაძემ და გაბისკირიამ გონივრულად რომ იმოქმედეს მეტოქის საჯარიმოში, ბოლოს ბურთი გაბისკირიამ მოიგდო, მახვილი კუთხისკენ გაჭრილმა გოგუა დააწვინა და კუთხურის ხაზიდან მეკარის ბაქანში გააცურა ბურთი, იქ კი ილურიძემ ავტოგოლი გამოაცხო — 4:1.

დარჩენილ დროში „სიონმა" მშვიდად აგორა ბურთი. სიმშვიდე ნამატჩევს სტუმართა თავკაცს სერგო გაბელაიასაც არ დაუკარგავს. ძლიერ გუნდთან დავმარცხდით, თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ „სიონმა" ყველაფერში გვაჯობა, მაგრამ მეტოქის მეორე გოლისას თანამსაჯს თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირება მართებდაო.



ვაჟა [illegible] ფოტო

თემურ მახარაძემ უჩვეულოდ გარისკა და გაუმართლა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 6 |
| სიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| კოლხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 7:3 | 3 |
| თბილისი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ტორპედო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მერცხალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| მცხეთა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:8 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ბათუმი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | 0 |





ვაჟა [illegible] ფოტო

ბოლნისში გატანა „მერცხალმა" დაიწყო, ბოლოს კი „სიონმა" გაიხარა

# პუხოვს... სამი ნაყვარევა

**ცოტაც და** უეფას თასის პირველ ეტაპზე ბოლნისური „სიონი" სლოვაკურ „პუხოვს" შეერკინება. ბოლნისელები მიდგნენ-მოდგნენ და რამდენიმე დღის წინ სლოვაკეთის ჩემპიონატის პირველი ტურის „პეტრჟალკა"— „პუხოვის" ვიდეოფირი ჩაიგდეს ხელთ. ის მატჩი „სიონის" მომავალმა მეტოქემ 0:3 დათმო, თუმც სათავისო შთაბეჭდილება ქვემოქართლელებმა მაინც შეიქმნეს. გუნდი ტანმაღალი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, ბევრს დარბიან, ბოლომდე იბრძვიან და მიუხედავად იმისა, რომ დიდი ანგარიშით დამარცხდნენ, საკმაო პოტენციალი ეტყობათო, გვითხრეს ბოლნისელებმა ვიდეოფირის ნახვის შემდეგ. როგორც ჩანს, მათი მოსაზრება სიმართლესთან ახლოსაა, რაკილა ჩემპიონატის მეორე ტურში პუხოველებმა შინ ტრნავის „სპარტაკი" გააკრეს ბეჭებზე — 3:0. შაბათს კი მორიგ ტურში სლოვაკურ ბობოლა „ინტერს" ესტუმრნენ. მატჩი ფრედ, 3:3 დასრულდა, „პუხოვმა" კი დაამტკიცა, რომ ბოლომდე მებრძოლი გუნდია.

პირველ ტაიმში „ინტერმა" პირწმინდად დაჩაგრა მეტოქე. ბრატისლაველმა სებომ 21-ე და 41-ე წუთებზე ორჯერ დალაშქრა მეტოქის კარი და ერთი შეხედვით მატჩის გადარჩენის მცირე შანსიღა დარჩათ სტუმრებს. მეორე ტაიმი წუთის დაწყებული იყო, ნემეცმა ანგარიში რომ შეამცირა. ცნობისთვის, ამ ფეხბურთელმა წინა ტურშიც გაიტანა „სპარტაკთან" მატჩში.

„ინტერმა" 53-ე წუთზე ორბურთიანი უპირატესობა აღადგინა. შავკანიანმა ლემბაკოალიმ ხელოვნურ თამაშგარეზე დაიჭირა პუხოველები — 3:1. მერე კი ყველაფერი თავდაყირა დადგა, სტუმრები გაათრდნენ და საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვეს დედაქალაქელები. მე-60 წუთზე მაჟერნიკმა ისევ შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე კი ნემეცმა საამსეზონო მესამე გოლი გაიტანა.

დარჩენილ დროში ფსიქოლოგიურად გამტყდარ მასპინძლებს ლამის სამი ქულა აართვა „პუხოვმა", მაგრამ „ინტერი" მეკარემ იხსნა მარცხისგანო, იტყობინებიან სლოვაკი ჟურნალისტები.

**პაატა კვანტალიანი**

## სლოვაკეთი

**მე-3 ტური:** ბანსკა ბისტრიცა — სლოვანი 1:0; ინტერი — პუხოვი 3:3; ტრენჩინი — რუჟომბეროკი 3:1; ტრნავა — ჟილინა 0:0; პეტრჟალკა — დუბნიცა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პეტრჟალკა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ტრენჩინი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| პუხოვი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| რუჟომბეროკი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| დუბნიცა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბ. ბისტრიცა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| ჟილინა | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ტრნავა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:4 | 2 |
| სლოვანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |



მიხეილ აშვეთიამ ეფექტური გოლებით რკინიგზელებს თავი შეაყვარა

# აშვეთია შენ ხარ ის!

## კობიაშვილის შალკეს ოქროს ბურთები აქვს

შაბათს ყველაზე პოპულარული ქართველი მოსკოვში მიხეილ აშვეთია იყო.

აშვეთია, შენ ის ხარ, ვინც გვჭირდებოდა — ქუხდნენ ნამატჩევს „ლოკომოტივის" ფანები. მოსისხლე „სპარტაკის" განადგურებამ ექსტაზში ჩააგდო გულშემატკივარი. მესამე დღე გავიდა „სპარტაკ" — „ლოკომოტივის" შვიდგოლიანი ომიდან და რკინიგზული კლუბის ინტერნეტ-გვერდზე არ წყდება ქომაგთა წერილები, რომელთა უმრავლესობაშიც აშვეთიას ქება-დიდებას წააწყდებით. არც არის გასაკვირი, მიხომ მართლაც ფანტასტიკური დებიუტი მოიწყო „ლოკომოტივში" — 4 გოლი ოთხ მატჩში. ზედიზედ მეორედ ქართველი შემტევი ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. „სპარტაკთან" მატჩში აშვეთიამ ხოხლოვთან ერთად ყველაზე მაღალი შეფასება — შვიდიანი დაიმსახურა. აშვეთიამ დუბლით ლომის წილი დაიდო „სპარტაკის" წაქცევაში, გამორჩევით კი მისი პირველი გოლია აღსანიშნი, რადგან ტექნიკურად რთული შესასრულებელი იყო.

„ჩვენ ბრწყინვალედ შევასრულეთ მწვრთნელის მითითებები. ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვეთ, ეგებ უცნაურიცაა, „ალანიაში" ერთი გოლიც არ მქონდა გატანილი, „ლოკომოტივში" კი უკვე ოთხი მომიგროვდა. ამის მიზეზი ის არის, რომ არაჩვეულებრივ კოლექტივში მოვხვდი" — უთხრა ტრიუმფატორმა ქართველმა რუს ჟურნალისტებს. ერთ-ერთი ჩვენი იქაური კოლეგა კი მიხოს შეუჩნდა, კარგი საგოლე მომენტები გექმნება, უფრო მეტის გატანა გმართებსო. ქართველმა აბეზარს მახვილგონივრულად უპასუხა, ტაბლოს ვუფრთხილდები, ყველა მომენტი რომ გამოვიყენო, დაიწვებაო.

კვლავაც მოიგო რუსული პრემიერლიგის პერიფერიულმა ყოჩმა — ყაზანის „რუბინმა" „ჩერნომორეცი" მოინელა საშინაო მატჩში. როგორც იქნა, პირველი პრემიერლიგული გოლი შეაგდო დავით ჩალაძემ. თუმც მატჩის გმირი ყაზანელთა მეკარე გახდა. მან ურთულესი დარტყმები აუღო შავზღვისპირელებს. „რუბინი" მეხუთეზეა და ევროტურნირზე მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

უმენთეშაშვილოდ დამარცხდა აუტსაიდერი „სპარტაკ-ალანია", თუმც მნახველთა თქმით, ოსებს კარგად უბურთავიათ სანკტ პეტერბურგში. მიუხედავად ამისა, სასწაული უნდა მოხდეს, ვლადიკავკაზელებმა რჩეულთა შორის შეინარჩუნონ ადგილი.

რუსეთში უკვე გავარდნილად თვლიან „ტორპედო მეტალურგს". ალექსანდრე რეხვიაშვილის გუნდმა სეხნია „ტორპედოსთან" უიმედოდ წააგო. რეხვიაშვილმა მხოლოდ გაფრთხილებით გამოიჩინა თავი.

სერიოზული გამოცდა ჰქონდა გერმანული ბუნდესლიგის პირველ ტურში ლევან კობიაშვილს. „შალკეს" მრისხანე „დორტმუნდი" ჰყავდა მეტოქედ. იუპ ჰაინკესმა მოულოდნელად ნახევარდაცვაში ათამაშა ქართველი. ლევანიც ჩვეული მონდომებით გაისარჯა. მატჩი კი იმგვარად წარიმართა, გმირი უნდა გამხდარიყო ოქრო-ბიჭი, თურქი ალტინტოპი. სხვათა შორის, მისი გვარი თურქულად სიტყვასიტყვით ოქროს ბურთს ნიშნავს. ალტინტოპის ოქრო გოლებით „შალკე" გამარჯვებასთან ახლოს იყო, მაგრამ მრავლისმნახველმა „დორტმუნდმა" გამოცდილების ხარჯზე სასწაულებრივ შეძლო ქულის წაღება გელზენკირხენიდან.

დებიუტი ჩაუფლავდა ჩვენებურ „ფრაიბურგს". დაწინაურებულ „ლევერკუზენს" ფინკეს ბიჭებმა მალევე გაუთანაბრეს. საგოლე შეტევისას ასისტენტობა ალექსანდრე იაშვილმა ითავა. ეს იყო და ეს. დარჩენილ დროში ბურთი და მოედანი მასპინძლებს დარჩათ. სტუმრები ვერც ლევან ცქიტიშვილმა გამოაცოცხლა.

წარუმატებელი გამოდგა რეგიონალლიგიდან მეორე ბუნდესლიგაში აღზევებული აუე-ს დებიუტიც. რუსთაველმა ხვიჩა შუბითიძემ „რეგენსბურგის" წინააღმდეგ შეუცვლელად ითამაშა, მაგრამ ვერც მან გაქვითა მეტოქის პირველ ტაიმში გატანილი და ვერც მისმა თანაგუნდელებმა. „უნტერჰახინგმა" მიხეილ საჯაიას გარეშე მოუგო „ფიურტს".

საამსეზონო პირველი გოლები გაიტანეს უკრაინის ჩემპიონატში გოჩა ჯამარაულმა და შალვა აფხაზავამ. ორივე ქართველმა ერთ მატჩში გამოიჩინა თავი. „მეტალურგი" — „არსენალის" შეხვედრაში გიორგი დემეტრაძემაც ითამაშა. ჯამარაულმა შორეული დარტყმით გაიტანა, კიეველ მეთოფეთა რიგებში 13 წუთით გამოჩენილმა აფხაზავამ კი ზედ საფინალო სასტვენის წინ შეაგდო, თუმც მისმა გოლმა ბევრიც ვერაფერი შეცვალა — „მეტალურგმა" 4:2 გაიმარჯვა.

სატურნირო ვითარება გამოისწორა ზურაბ იონანიძის „ტავრიამ". სიმფეროპოლელებმა კინკილა გოლი იკმარეს „ვოლინის" დასამარცხებლად.

ქართული სათვისტომო ყალიბდება ყაზახეთში. ამ საფეხბურთო პერიფერიაში უკვე ექვსმა ჩვენებურმა მოიყარა თავი. „ბატისში" მოთამაშე ქართულ ტრიოს კიდევ ორ ყაზახურ ქალაქში ეყოლება მშობლიურ ენაზე ხმის გამცემი. მესამეადგილოსანმა „ატირაუმ" ქართველი ლეგიონერების წყალობით შეძლო პირველადგილოსანი „ქაიზნისის" დამარცხება. ჯანაშია და ბაჯელიძე მონდომებით გაისარჯნენ ახალი გუნდისთვის. ჯანაშიამ გოლითაც გამოიჩინა თავი, ბაჯელიძე კი თითქმის ყველა შეტევის ორგანიზატორი ყოფილა.

საეჭვო გაქანების „ჟეტისუში" დებიუტი ჩაუფლავდა ალექსანდრე ბურნაძეს. მისი გუნდი ჩემპიონმა „ირტიშმა" ჩაყლაპა. რუსთაველი მცველი კი მხოლოდ ყვითელ ბარათს გამორჩა.

**პაატა ქვანტალიანი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | დორტმუნდი 2:2 | 90 | | 1 | 0 | 9 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ლევერკუზენი 1:4 | 90 | საგოლე პასი | 1 | 0 | 16 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ლევერკუზენი 1:4 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 1 | 0 | 16 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | რეგენსბურგი 0:1 | 90 | ? | 1 | 0 | 16 |
| მიხეილ საჯაია | უნტერჰახინგი | ს | ფიურტი 4:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 1 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 5:2 | 90 | 2 გოლი, გააფრთხილეს | 4 | 4 | 7 |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | სპარტაკი 5:2 | 0 | სათადარიგო | 9 | 1 | 7 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ჩერნომორეცი 3:1 | 65 | 1 გოლი, შეცვალეს | 11 | 1 | 5 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ჩერნომორეცი 3:1 | 0 | სათადარიგო | 7 | 0 | 5 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | ჩერნომორეცი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ჩერნომორეცი | ს | რუბინი 1:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 14 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | ს | ტორპედო 0:3 | 56 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 16 | 1 | 16 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | ტ. მეტალურგი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | ლოკომოტივი 2:5 | 0 | ტრანსფერზეა | 8 | 0 | 11 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | ს | ზენიტი 1:2 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 11 | 0 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | ს | დინამო 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 10 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | შ | კრილია 0:0 | 90 | | 4 | 0 | 13 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | შ | კრილია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 13 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | არსენალი 4:2 | 90 | 1 გოლი | 4 | 1 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | არსენალი 4:2 | 87 | შეცვალეს | 4 | 2 | 4 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | ს | ილიჩევეცი 0:1 | 90 | | 4 | 0 | 12 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | ვოლინი 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 10 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | შ | ვოლინი 1:0 | 90 | | 4 | 1 | 10 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ობოლონი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 9 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | მ. დონეცკი 2:4 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 1 | 14 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ბახვა ამბიძე | ბატისი | შ | ესილი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 0 | 16 |
| პაატა გამცემლიძე | ბატისი | შ | ესილი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 11 | 0 | 16 |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | შ | ესილი 1:0 | 80 | შეცვალეს | 12 | 1 | 16 |
| ალექსანდრე ბურნაძე | ჟეტისუ | შ | ირტიში 2:7 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | 8 |
| დავით ბაჯელიძე | ატირაუ | შ | ქაიზნისი 3:1 | 78 | შეცვალეს | 1 | 0 | 3 |
| დავით ჯანაშია | ატირაუ | შ | ქაიზნისი 3:1 | 90 | 1 გოლი | 1 | 1 | 3 |
| **ფინეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| დავით ნიკურაძე | კტპ | შ | ალიანსი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



**გოჩა ჯამარაულმა (ბურთით) უკრაინაში გოლების სეზონი გახსნა**

## იტალია

სუპერთასი. ნიუ იორკი. „ჯაიანთსი“. 54 128 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:1 დ.დ. (პენ. 5:3, 0:0) მილანი**

0:1 პირლო (105პ), 1:1 ტრეზეგე (105)

*პენალტები: 1:0 დი ვაიო, 1:1 პირლო, 2:1 ტრეზეგე, 2:2 სერჟინიო, 3:2 ბირინდელი, 3:2 ბროკი (მეკარე), 4:2 კამორანეზი, 4:3 ნესტა, 5:3 ფერარა*

იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ლეგროტალიე, იულიანო (ფერარა 107), ძამბროტა, ტაკინარდი, აპია, ნედვედი, დელ პიერო (დი ვაიო 63), ტრეზეგე, მიკოლი (კამორანეზი 53)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

მილანი: აბიატი, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო (ამბროზინი 44), პირლო, ზეედორფი (სერჟინიო 66), რუი კოშტა (ბროკი 80), შევჩენკო, ინძაგი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ტაკინარდი, მალდინი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა



„იუვენტუსმა“ „მილანს“ პენალტების ვენდეტით აჯობა

# ვერცხლი არ გამოდნა

## რა დრო ყოფილა 20 წამი

**როგორც ჩანს,** „იუვენტუსმა“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ამასწინანდელი მარცხი (1:4) ითაკილა და მწვრთნელის, მარჩელო ლიპის შეჯორილმა ტურინელმა ფეხბურთელებმა „მილანთან“, იტალიის სუპერთასზე უფრო მონდომებით ითამაშეს — ძირითადი დროისა და დამატებითის 1:1 დასრულების შემდეგ პენალტებით 5:3 მოიგეს. პენალტების სერიაში გადამწყვეტი მომენტი მაშინ დადგა, როდესაც ვეტერანმა იუვენტუსელმა ჩირო ფერარამ კრისტიან აბიატის გაუტანა, მანამდე კი დღის გმირმა, ჯანლუიჯი ბუფონმა მილანელი კრისტიან ბროკის დარტყმული მოიგერია. შეხვედრაში მოქმედებდა ეგრეთ წოდებული ვერცხლის გოლის წესი, ნიუ ჯერსის „ჯაიანთს სტედიუმზე“ კი შეხვედრას 54 128 მაყურებელი ესწრებოდა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი იტალიურად ჩატარდა, ფრეც, საქმის პენალტებამდე მიყვანაც და ვენდეტაც — „იუვეს“ მოტივაცია, ბუნებრივია, მხოლოდ მანჩესტერთან წაგებული თამაშით შელახული თავმოყვარეობის აღდგენა არ გახლდათ, ტურინელები წინა სეზონის უდიდესი გულდაწყვეტისთვისაც ცდილობდნენ შურისძიებას: ეს გუნდები ხომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ „მილანმა“ სწორედ ასე, იტალიურად, ფრის შემდეგ პენალტებით მოუგო.

მაგრამ ამჯერად დრამატიზმი მეტი იყო და აი, რატომ: როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დამატებითი ვერცხლის გოლის წესით ჩატარდა და სწორედ მის პირველ ნახევარში, თან უკიდურესად კულმინაციურ დროს, მე-15 წუთზე „იუვენტუსის“ კარში პენალტი დაინიშნა — ალესიო ტაკინარდიმ საჯარიმოში ანდრეი შევჩენკო წააქცია — რომელიც ანდრეა პირლომ გამოიყენა. ერთი სიტყვით, „მილანი“ დაწინაურდა და გასაძლები მხოლოდ წამებილა ჰქონდა, მაგრამ... „იუვემ“ ცენტრიდან დაიწყო და დავიდ ტრეზეგემ შეხვედრას დამატებითი დროის მეორე ნახევარი მოუტანა.

მარჩელო ლიპი: ეს ჩვენთვის დასაწყისი იყო, ახალ სეზონში ჩვენი ძლიერება პირველად გამოვამჟღავნეთ. ჩვენი მიზანია, სამ შეჯიბრებაში ვიბრძოლოთ გამარჯვებისთვის, ვგულისხმობ ჩემპიონთა ლიგას, იტალიის პირველობასა და თასს. ჩვენთვის ერთი მეორეზე მნიშვნელოვანი არ არის. დიახ, მაისში ლიგა წავაგეთ, მაგრამ ეს უკვე დავიწყებულია. დღეს კარგი „იუვენტუსი“ ვიხილეთ. როდესაც გოლს თამაშის დამთავრებამდე 20 წამით ადრე უშვებ, ფაქტობრივად, შანსი აღარ გაქვს, მაგრამ ხომ ხედავთ, არავინ იცის, სინამდვილეში რა შეიძლება მოხდეს. ჩვენ ვნახეთ, როგორ უმჯობესდებოდა „იუვენტუსის“ თამაში და ამან გამახარა. ამ სიცხეში ფეხბურთელებმა კარგად ირბინეს. კიდევ ერთი კვირა და კარგ ფორმაში ვიქნებით“.

საგულისხმოა, რომ ლიპიმ გამარჯვება „იუვენტუსის“ ადრინდელ პრეზიდენტს, ვიტორიო კიუზანოს მიუძღვნა, რადგან იგი წინა ხუთშაბათს გარდაიცვალა.

„მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ კი განაცხადა:

„გამარჯვება მშვენიერი იქნებოდა, მაგრამ მაინც პოზიტიურად შევხედავდი ყველაფერს და ისე ვიტყოდი, რომ ეს თამაში უკეთესი იყო, ვიდრე წინა, „იუვესთან“ კი ახლა წაგება სჯობდა, ვიდრე მაშინ, ფინალში რომ წაგვეგო“.

**ბაკურა ძიდია**



ბროკისთვის უიღბლო და ბუფონისთვის იღბლიანი პენალტი

## ამხანაგური მატჩები

**ბარსელონა (ესპანეთი) 1:3 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)**

1:0 კლუივერტი (10), 1:1, 1:2 ფორლანი (26, 37), 1:3 ვან ნისტელროი (85)

ბარსელონა: ვალდესი (ხორკერა 46), პუიოლი, რაიციგერი, კოკუ (პ. ანდერსონი 70), ოსკარ ლოპესი, ხერარდი, ხავი, ლუის ენრიკე, რონალდინიო (ოვერმარსი 46), კლუივერტი (დანი 46), სავიოლა (კვარესმა 46)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

მანჩესტერ იუნაიტედი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, ფერდინანდი, ოში, ფლეტჩერი (ვან ნისტელროი 52), ბათი (რიჩარდსონი 80), კინი, სქოულზი, ფორჩუნი, გიგზი (სოლსკიაერი 65), ფორლანი (ბელიონი 52)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მსაჯი: კევინ სტოკი (აშშ)

70 000 მაყურებელი



ალექს ფერგიუსონმა სასურველი რონალდინიო ამერიკაში და სხვა გუნდში ნახა

# მანჩესტერმა ამერიკაში ევროპას დაშარა

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“** მოგებით დაასრულა თავისი ჩრდილოამერიკული ტურნე: მეოთხე სამოგზაურო მატჩში, ფილადელფიაში რომ გაიმართა, „მანჩესტერმა“ 3:1 მოუგო „ბარსელონას“ დიეგო ფორლანის დუბლისა და რუდ ვან ნისტლროის ინდივიდუალური გოლის წყალობით.

სწორედ ფორლანის ორმა გოლმა განსაზღვრა თამაშის ბედი, თორემ მეთერთმეტე წუთიდან „ბარსა“ იგებდა რონალდინიოს საუცხოო კროსის და პატრიკ კლუივერტის ზუსტი დარტყმის შემდეგ.

საერთოდ, რონალდინიო კატალონიელთა სული და გული იყო. თითქოს უნდოდა, რომ სერ ალექს ფერგიუსონისთვის ეჩვენებინა, აი, რა ბიჭისთვის დამარცხდი სატრანსფერო ბრძოლაშიო. ბრაზილიელმა პირდაპირ დატანჯა როი კინი, ნიკი ბატი და პოლ სქოულზი. მახვილგონიერი ფინტებით დატანჯა. თუმცა, რონალდინიოს ცეკვების პარალელურად, „მანჩესტერმა“ თამაშის სადავეები აიღო და რონალდინიოც ჩააწყნარა.

26-ე წუთზე ფორლანი კარგად შეეგება რაიან გიგზის კროსს და ტურნეში თავისი მესამე გოლი გაიტანა. ათიოდ წუთში ბატმა კატალონიელთა თამაშგარე გაჭრა დაბალი პასით და ფორლანმა მეორე გაიტანა.

მეორე ტაიმში ფერგიუსონმა ვან ნისტელროი შემოიყვანა ფორლანის ნაცვლად, მოედანზე გამოჩნდა ყრმა დავიდ ბელიონიც. ვან ნისტელროიმ თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე „ბარსას“ მცველთა ზოზინი გამოიყენა და ანგარიში საბოლოოდ გაზარდა. მაგრამ მანამდე „იუნაიტედმა“ დაცვაშიც ივარგა: მეკარე ტიმ ჰოვარდმა ფანტასტიკური ბურთი აუღო მარკ ოვერმარსს, რიო ფერდინანდმა კი როდრიგო კვარესმას კროსი არ მიუშვა კარამდე.

თამაშის შემდეგ ფერგიუსონმა მეკარე ჰოვარდი აქო და ამერიკული ტურნე კარგ გახურებად მონათლა.

„მანჩესტერმა“ ოთხივე თამაში მოიგო („სელტიკთან“ 4:0, „კლუბ ამერიკასთან“ 3:2, „იუვენტუსთან“ 4-1 და „ბარსელონასთან 3:1), გაიტანა 14 და გაუშვა 3 გოლი, რითაც სუზონისწინა ფორმაშიც შევიდა, კომერციაც კარგი დაატრიალა და იმის დამტკიცებაც გამოუვიდა, რომ დევიდ ბექჰემის გაყიდვით გუნდი არ დაქცეულა.

**ირაკლი გამყრელიძე**

**კენოსი (ესპანეთი) 0:10 ვალენსია (ესპანეთი)**

0:1 ხუან სანჩესი (11), 0:2 ხისკო (26), 0:3 ხუან სანჩესი (30), 0:4 ხისკო (36), 0:5 ბარახა (50), 0:6 ვისენტე (56), 0:7 სალვა (59პ), 0:8 ვისენტე (69), 0:9 აიმარი (72), 0:10 რუფეტე (81)

ვალენსია: რანგელი, ალბიოლი (გარიდო 46), მარჩენა (აიალა 46), დავიდ ნავარო (პელეგრინო 46), ვერდეხო (კარბონი 46), ბორხა (რუფეტე 46), გავილანი (ალბელდა 46), პარი (ბარახა 46), კანობიო (ვისენტე 46), ხისკო (აიმარი 46), ხუან სანჩესი (სალვა 46)

**სანტოს ლაგუნა (მექსიკა) 2:1 რომა (იტალია)**

1:0 რეიესი (34), 2:0 ბორგეტი (53), 2:1 ბომბარდინი (86პ)

რომა: პელიცოლი, პანუჩი (ძებინა 43), სამუელი (გიგუ 77), კოვუ (დელასი 58), კანდელა (კუფრე 67), მანჩინი (სარტორი 46), დაკური (ტომაზი 46), ემერსონი (დე როსი 58), ტოტი (დაგოსტინო 46), კასანო (ბომბარდინი 61), მონტელა (დელვეკიო 20)

**სიენა (იტალია) 3:2 ჯენოა (იტალია)**

**სელტიკი (შოტლანდია) 1:1 არსენალი (ინგლისი)**

**ტოტენჰემი (ინგლისი) 0:2 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)**

**ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0:1 სელტა (ესპანეთი)**

**ჩესტერფილდი (ინგლისი) 1:2 ლიდსი (ინგლისი)**

**ბორნმუთი (ინგლისი) 1:1 ლესტერი (ინგლისი)**

**ძოვენთრი (ინგლისი) 2:1 ვულვერჰემპტონი (ინგლისი)**

**კრისტალ პალასი (ინგლისი) 1:2 ჩელსი (ინგლისი)**

**დანფერმლაინი (შოტლანდია) 1:0 პორტსმუთი (ინგლისი)**

**ჰიბერნიანი (შოტლანდია) 0:1 ჰართსი (შოტლანდია)**

**მილუოლი (ინგლისი) 2:2 საუთჰემპტონი (ინგლისი)**

**კილმარნოკი (შოტლანდია) 4:2 სანდერლენდი (ინგლისი)**

**მოზერუელი (შოტლანდია) 2:2 ფულემი (ინგლისი)**

**ნორვიჩი (ინგლისი) 2:0 უტრეხტი (ჰოლანდია)**

**ოლდემი (ინგლისი) 0:6 მანჩესტერ სიტი (ინგლისი)**

**პრესტონი (ინგლისი) 1:0 ევერტონი (ინგლისი)**

**რაშდენი (ინგლისი) 1:6 ნოტინგემი (ინგლისი)**

**უიგანი (ინგლისი) 1:0 ბლეკბერნი (ინგლისი)**

**აშშ-ს MLS ნაკრები 3:1 გვადალახარა (მექსიკა)**

# გერმანია

## ბუნდესლიგა. I ტური

### შალკე 2:2 დორტმუნდი

1:0, 2:0 ალტინტოპი (39, 58), 2:1 ფ. კონსეისაო (66), 2:2 ამოროზო (90)
შალკე: ფ. როსტი, ალკიდესი (ვარელა 62; მატელანი 81), ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ასამოა, პოულსენი, კობიაშვილი, ჰამიტ ალტინტოპი, აგალი, სანდი (ციომერი 81)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, შ. როიტერი (ჯ. რეინა 87), ვიორნსი, მადუნი, დედე, დემელი (ფ. კონსეისაო 61), ევერტონი, რიკენი (ო. ადო 69), როსიცკი, კოლერი, ამოროზო
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: პოულსენი, ჰაიტო, დედე, დემელი, ამოროზო
გაძევება: ასამოა (90)
მსაჯი: ფროილიხი
61 015 მაყურებელი

### ლევერკუზენი 4:1 ფრაიბურგი

1:0 პონტე (16), 1:1 რიტერი (19), 2:1 ლუსიო (28), 3:1 ჟუანი (41), 4:1 ნოივილი (61)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბალიტჩი, ლუსიო, ჟუანი, პლასენტე, რამელო, ბიროფკა, ბაბიჩი, პონტე (კალუჟნი 76), ნოივილი (ბერბატოვი 72), ფრანცა
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, შ. მიულერი (ბ. დიარა 46), ა. ცაიერი, ბაირამოვიჩი, ვიტერი, ბერნერი (ცხადიშვილი 46), ტანკო (კრუპკე 67), კულიბალი, იაშვილი, კაირო
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: რიტერი, კულიბალი, ცხადიშვილი
მსაჯი: ალბრეხტი
22 500 მაყურებელი

### ბაიერნი 3:1 აინტრახტი

1:0 ზე რობერტო (16), 2:0 სალიჰამიჯიჩი (20), 3:0 პიზარო (42), 3:1 შკელა (68)
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი (სანიოლი 83), რ. კოვაჩი, თ. ლინკე, რაუ, ჰარგრივსი (იერემისი 83), ბალაკი, დაისლერი, ზე რობერტო (შოლი 72), ელბერი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
აინტრახტი: ნიკოლოვი, პულიზი, ჩიპი, ი. კელერი, ვიდენერი, დ. მონტერო (კროიცი 77), შური, შკელა, ბიურგერი (დრაგუშა 46), ჩა, ჯონსი (ლექსა 46)
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
გაფრთხილება: ჰარგრივსი, შური, კელერი
მსაჯი: კირხერი
63 000 მაყურებელი

### ჰანზა 0:2 შტუტგარტი

0:1, 0:2 საბიჩი (75, 76)
ჰანზა: შობერი, ტიკუზუ, კინცი, ჰილი, მელკამი, ლანცი, ვორბეკი (რიდლევიჩი 69), პლასნეგერი, შულცი (არვიდსონი 79), მაქსი, პრიკა
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, გერბერი, სოლდო (ტიფერტი 46), ვრანიეში, მაისნერი (ლამი 76), ჰელდტი, კურანი, კაკაუ (საბიჩი 60)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ლანცი, ვრანიეში, სოლდო, გერბერი, ბორდონი
მსაჯი: იანსენი
26 000 მაყურებელი

### ჰამბურგი 0:3 ჰანოვერი

0:1 სტაინერი (11), 0:2 ბრდარიჩი (76), 0:3 იდრისუ (79)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, იაკობსენი (ა. მაიერი 71), ჰოოგმა, რაინჰარდტი, რანი, მალტრიცი, ბაინლიხი, ბარბარესი, კარდოზო (ტაკაჰარა 46), მაჰდავიკია, რომეო
მწვრთნელი: კურტ იარა
ჰანოვერი: ტრემელი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ვინისიუსი, დე გუზმანი, ლალა, კრუპნიკოვიჩი, შიმაკი (ბრდარიჩი 64), სტაინერი (შტენდელი 84), კრისტიანსენი (დაბროვსკი 53), იდრისუ
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ჰოოგმა, რანი, რაინჰარდტი, დე გუზმანი
მსაჯი: ვაკი
53 224 მაყურებელი

### ჰერტა 0:3 ვერდერი

0:1 აილტონი (18), 0:2 მიკუ (21), 0:3 აილტონი (65)
ჰერტა: კირალი, შმიდტი (გოორი 46), ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ჰარტმანი, დარდაი, ტ. მარქსი, ნ. კოვაჩი, მარსელინიო (ლუდვიგი 45), ვიშნიარეკი (რაფაელი 72), ბობიჩი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ვერდერი: რაინკე, სტალტერი, ისმაელი, კრსტაიჩი, მანინი (ველაგე 62), ბაუმანი, ლისტეში, ფ. ერნსტი, მიკუ (ბანოვიჩი 84), აილტონი (რაიხი 80), ხარისტიასი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ჰარტმანი, მანინი
მსაჯი: ფანდელი
40 152 მაყურებელი

### კაიზერსლაუტერნი 0:1 მიუნხენი

0:1 შროტი (44)
*კლოზემ ვერ გაიტანა პენალტი (26, ძელი)*
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ვრევენი, ჰ. რამზი (გრამოცისი 43), კნავსი (ლემბი 21), ჩატო, ხრისტოვი, ჰენგენი, ნურმელა, კოსოვსკი (დომინგუში 78), ლოკვენცი, კლოზე
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, გიორლიცი (პიურკი 87), ტ. ჰოფმანი, როდრიგო კოშტა, საარინენი, ჩერნი, შვარცი, ტისი, ვაისენბერგერი (შაო 46), ლაუტი (კიოიო 90), შროტი
გაფრთხილება: ლოკვენცი, ვრევენი, ვაისენბერგერი, გიორლიცი, ტ. ჰოფმანი
გაძევება: ჩატო (33)
მსაჯი: ვაინერი
35 629 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 3:2 ბოხუმი

1:0 ტიამი (9), 2:0 კლიმოვიჩი (14), 2:1 მადსენი (37), 2:2 ფარენჰორსტი (44), 3:2 პეტროვი (75)
ვოლფსბურგი: იენჩი, რიტერი, შნოორი, ბილიშკოვი (კარჰანი 46), ვაიზერი, ტიამი, შარპეი, დალესანდრო (დ. მუნტიანუ 78), ტოპიჩი, მ. პეტროვი (ს. მიულერი 85), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, ბიონიგი, ცდებელი, ოლისე, ვოში, ფრაიერი (ბაკლი 62), დიაბანგი (ტ. გუდიონსონი 85), პ. მადსენი (ჰაშემიანი 72)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ბილიშკოვი, დალესანდრო, შნოორი, მადსენი, კალა, ბიონიგი, კოლდინგი
მსაჯი: შტარკი
15 976 მაყურებელი

### მიონხენგლადბახი 1:0 კიოლნი

1:0 შერცი (62ს.კ.)
მიონხენგლადბახი: შტილი, კორზინეცი, პლეტჩი, შტრასერი, ასანინი, ოჯიგვე (ულიხი 55), კლუგე, დემო (კირხი 90), კოლკა, ვან ლენტი (სვერკოში 75), კეტელაერი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
კიოლნი: ვესელსი, კულმანი, დოგანი, სიხონე, ჰაინრიხი, შინდცილორცი (ჰელბიგი 87), შპრინგერი, ლოტნერი, შერცი (ო. შრიოდერი 63), ვორონინი, ებერსი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: კლუგე, კულმანი, დოგანი
გაძევება: სიხონე (61)
მსაჯი: მერკი
34 500 მაყურებელი

# რუმენიგეს ფიცი-მტკიცი ბაიერნის ბიბლია ვერცხლის სინია


REUTERS ჰამბურგიდან

ჰამბურგი — ჰანოვერი. ჯულიან დე გუზმანის თანაგუნდელებმა მეჰდი მაჰდავიკიას (მარჯვნივ) და მასპინძლებს სენსაცია გადააყლაპეს


REUTERS გელზენკირხენიდან

პირველ ტურში გამორჩეული შალკელი ჰამიტ ალტინტოპი

**მიუნხენის** „ოლიმპიაშტადიონზე“ 63 000 კაცი შეიყარა, გერმანიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ვერნერ ჰაკმანმა ოფიციალურად გახსნა 2003-04 წლების ბუნდესლიგა. ამის მერე სიტყვა „ბაიერნის“ თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგემ ითხოვა, რომელიც ხალხს წინა სეზონში მოპოვებული საჩემპიონო სინით — ბუნდესსასალათით წარუდგა და მთელ „ბაიერნთან“ ერთად დაიფიცა, ჩემპიონობას შევინარჩუნებთო. მანამდე კი იმავ „ოლიმპიაშტადიონზე“ მიხაელ ბალაკს გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადასცეს.

ამ ბუნდესლიგის პირველი მატჩი სწორედ „ოლიმპიაშტადიონზე“ გაიმართა და „ბაიერნმა“ შთამბეჭდავად მოუგო მეორე ბუნდესლიგიდან ალზევებულ ფრანკფურტის „აინტრახტს“. ტრავმიანობის გამო ბაიერნელებს აკლდათ ვილი სანიოლი, სამუელ კუფური, ბიქსენტ ლიზარაზუ და მარტინ დემიკელისი, ხოლო ალექსანდრ ციკლერი ისეა დამტვრეული, რამდენიმე თვე ვერ ითამაშებს. „ბაიერნი“ წინა სეზონში გაკრიტიკებულმა ზე რობერტომ დააწინაურა — მეტოქე მცველის მიერ უხეიროდ მოგერიებული ბურთი ბრაზილიელმა 15-16 მეტრიდან მოათავსა „აინტრახტის“ კარში. მეორე გოლი ჰასან სალიჰამიჯიჩმა გაიტანა სებასტიან დაისლერის კარგა ჩაწოდების შემდეგ, ხოლო კლაუდიო პიზარომ ტობიას რაუს ჩაწოდებულს დაჰკრა ზუსტი თავური. მოკლედ, მეორე ტაიმისთვის ყველაფერი მოთავებული იყო, თუმც „აინტრახტის“ ალბანელმა ნახევარმცველმა ერვინ სკალამ ულამაზესი საჯარიმო დარტყმით ერთი ბურთის გაქვითვა მაინც შეძლო.

ტურის სენსაცია ჰამბურგში მოხდა — იქ „ჰანოვერმა“ 3:0 მოუგო ახლახან ლიგის თასის ამწევ გუნდს. მატჩის გმირი სტუმართა ჩეხი შემტევი ირჟი სტაინერი გამოდგა — თვითონაც შეაგდო და სხვებსაც გაატანინა.

რამდენიმე დღის წინ ბრემენის „ვერდერი“ შესუსტებული შემადგენლობით ეთამაშა ავსტრიულ „პაშინგს“ ინტერტოტოზე და 0:4 წააგო. პირველ ბუნდესლიგურ მატჩში კი უძლიერესი ფეხბურთელებით წარდგა დედაქალაქში და „ჰერტა“ სასტიკად მოგუდა — ამ საქმეში მთავარი კაცი ბრაზილიელი აილტონი გახლდათ.

უნიათოდ გაისარჯა ლევერკუზენში „ფრაიბურგი“. ფოლკერ ფინკეს გუნდმა ისე ითამაშა, რომ ბუნდესლიგაში დამრჩენს არ ჰგავდა, თუმც ეს პირველი ტური იყო — ჯერჯერობით ამით თუ დაიმშვიდებს თავს „ფრაიბურგი“.

წაგებით და მინუს სამი ქულით დაიწყო ერიკ გერეტსის „კაიზერსლაუტერნმა“ — ფინანსური პრობლემების გამო „ლაუტერნს“ გაზაფხულზე მოაჭრეს სამი ქულა ამ ბუნდესლიგისთვის. პირველ ტურში კი გერეტსელები იღბალმაც დაალალატა — მიროსლავ კლოზემ 11-მეტრიანით ძელს გაარტყა ბურთი, ხოლო კამერუნელი მცველი ბილ ჩატო ბენჟამინ ლაუტის წაქცევისთვის გააგდეს გოლამდე რამდენიმე წამით ადრე. მიუნხენელთა გამარჯვებისა მარკუს შროტმა გაიტანა ნაკუთხურალით.

უხვგოლიანობა იყო ფოლკსვაგენეთში. ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ვოლფსბურგს“ გამარჯვება გაუჭირდა, მაგრამ მასპინძლებმა ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს.

ძლიერად ითამაშა ფელიქს მაგათის „შტუტგარტმა“ კერკეტი „ჰანზას“ წინაალმდეგ. სტუმრებმა ბუნდესლიგურ სტილში მოიგეს — შეცვლაზე შესულმა უნგრელმა ფორვარდმა იმრე საბიჩმა ორ წუთში ორი გოლი გაიტანა — ასეთები ყველაზე უფრო გერმანიაში ხდება ხოლმე.

დიდი ვერაფერი მატჩი გამოდგა „გლადბახი“ — „კიოლნი“. მასპინძლებს კიოლნელი ფორვარდი მათიას შერცი გამოექომაგა — საკუთარ კარში გაიტანა გოლი. რამდენიმე წამის წინ კი „კიოლნი“ ზამბიელმა მცველმა მოსე სიკონემაც დაალალატა გაძევებით.

კაი ჯახი იყო რურის ანუ ვესტფალიას დერბი. ლევან კობიაშვილმა შალკეური დებიუტი გამარჯვებით იმიტომ ვერ აღნიშნა, რომ მარსიო ამორუზომ მიწურულში გაათანაბრა.

**დავით თავართქილაძე**

| № | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლევერკუზენი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 ჰანოვერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 3 ვერდერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 4 ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 შტუტგარტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 6 ვოლფსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 მიუნხენი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 8 გლადბახი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 შალკე | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 დორტმუნდი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 11 ბოხუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 12 კიოლნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 13 აინტრახტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 14 ჰანზა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 15 ფრაიბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 16 ჰერტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 17 ჰამბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 18 ლაუტერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | -3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

### II ტური

9 აგვისტო

ჰანოვერი — ბაიერნი
აინტრახტი — ლევერკუზენი
ფრაიბურგი — ჰანზა
შტუტგარტი — ჰერტა
ვერდერი — გლადბახი
კიოლნი — ლაუტერნი
მიუნხენი — შალკე
დორტმუნდი — ვოლფსბურგი
ბოხუმი — ჰამბურგი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 2 |
| ჰამიტ ალტინტოპი (შალკე) | 2 |
| საბიჩი (შტუტგარტი) | 2 |

## მეორე ბუნდესლიგა

### I ტური

**აუე 0:1 რეგენსბურგი**
0:1 ჰუტველკერი (4)
აუე: რ. პეტკოვი, გ. ბერგერი, ნოვესკი, კურტი, იენდროშეკი, მ. ჰაიდრიხი, ფ. ბერგერი (ჩიპევი 61), გრუნდი, შუბითიძე, იანკე (კუნცე 67), ბრუმი (ჩური 61)

**ფიურტი 2:4 უნტერჰახინგი**
0:1 კოპადო (12), 1:1 როსლერი (23), 1:2 კოპადო (42), 2:2 როსლერი (53), 2:3 რიომერი (62), 2:4 კოპადო (78პ)
*უნტერჰახინგელი მიხეილ საჯაია განაცხადში ვერ მოხვდა*

**ალენი 0:1 ოსნაბრიუკი**
0:1 შიდი (45)

**არმინია 1:3 ობერჰაუზენი**
0:1 რადულოვიჩი (39), 0:2 ხიმიონი (48), 0:3 უედრაოგო (70), 1:3 ალიაი (72)

**ბურგჰაუზენი 1:1 ალემანია**
0:1 მეიერი (7), 1:1 შტაინი (25)
დუისბურგი 2:1 ლიუბეკი
1:0 მ. კურტი (63), 1:1 ტიუნი (77), 2:1 შპიზაკი (82)

**კოტბუსი 2:3 ტრირი**
1:0 ლატუნდე (15), 1:1 რაკანელი (39), 2:1 გებჰარდტი (45პ), 2:2 პეკოვიჩი (62), 2:3 კლასენი (83)

**მაინცი 2:1 უნიონი**
0:1 ბაუმგარტი (18), 1:1 კრამნი (44), 2:1 ტაინერტი (86)

**კარლსრუე — ნიურნბერგი**
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ობერჰაუზენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ტრირი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| დუისბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მაინცი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ოსნაბრიუკი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| რეგენსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბურგჰაუზენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ალემანია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნიურნბერგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| კარლსრუე | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| კოტბუსი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| უნიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ლიუბეკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ალენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| აუე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ფიურტი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| არმინია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

1-ლი ტური: ვერდერი (მ) — კილი 2:1; დორტმუნდი (მ) — პადერბორნი 0:1; ვატენშაიდი — ზანქტ პაული 1:1; მიუნსტერი — შალკე (მ) 1:3; ნოიმიუნსტერი — ჰამბურგი (მ) 0:1; ლაიპციგი — ქემნიცი 0:2; იურდინგენი — ვუპერტალერი 0:3; ბრაუნშვაიგი — დინამო 3:2; კიოლნი (მ) — ესენი 2:2

## სამხრეთ რეგიონალლიგა

1-ლი ტური: კიკერსი — მაინცი 1:0; ელვერსბერგი — აუგსბურგი 1:0; კაიზერსლაუტერნი (მ) — შტუტგარტი (მ) 0:4; ფოიხტი — ზაარბრიუკენი 1:1; ჰოფენჰაიმი — ეშბორნი 1:3; ოფენბახი — პფულენდორფი 3:1; ბაიერნი (მ) — ერფურტი 2:0; ზიგენი — ვეჰენი 3:3. აალენი — შვაინფურტი 12 აგვისტოს გაიმართება

# გერმანია. ბუნდესლიგა
## პირველი ტური

## შალკე 2:2 დორტმუნდი

ლევან კობიაშვილი: 90 წუთი

# ჰაინკესმა ლევანს თარსი ააცილა

**ლევან კობიაშვილმა** თავის პირველ ბუნდესლიგურ მატჩში „შალკეში" საკმაოდ ნორმალურად ითამაშა. მოსამზადებელი პერიოდის საკონტროლო შეხვედრებში კობიაშვილს ხუმარათუხუცესი იუპ ჰაინკესი სულ მარცხენა მცველად ათამაშებდა, „დორტმუნდთან" კი ნახევარდაცვაში გადასწია, ხოლო მარცხენა მცველის პოზიციაზე ედუარდო ალკიდესი გაამწესა. ალკიდესი დაშავდა და ის გუსტავო ვარელამ შეცვალა. მაგრამ არც ვარელას ეწერა დიდი დღე — მანაც ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა.

მატჩის ყველაზე გამორჩეული მოთამაშე შემტევი ნახევარმცველი ჰამიტ ალტინტოპი გახლდათ. ეს ოცი წლის თურქი „შალკემ" საამსეზონოდ შეიძინა რეგიონალლიგის „ვატენშაიდიდან". გელზენკირხენელები სწორედ მისი გოლებით დაწინაურდნენ — თურქმა ორივეჯერ ბურთი დაახლოებით ერთი და იგივე მანძილიდან გაისროლა საგოლედ — 25 მეტრიდან. გატანის შანსი ჰქონდათ ვიქტორ აგალისა და ებე სანდსაც.

მათიას ზამერის „დორტმუნდმა" ახალშეძენილი ფლავიო კონსეიკაოს საჯარიმო დარტყმით გაქვითა ერთი ბურთი. მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი რიკომეტის და „შალკეს" საჯარიმოში შექმნილი არეულობის შედეგად ბურთი მარსიო ამოროზოს მიუვიდა, რომელმაც ხუთი მეტრიდან შეაგდო.

ნამატჩევს იუპ ჰაინკესის კომენტარი ასეთი გახლდათ:

„უმეტესობა იმით, რაც დღეს ვნახე, კმაყოფილი ვარ. 65-70 წუთი ჩვენ ალღოიანად, ჭკვიანურად და რაციონალურად ვთამაშობდით. მაგრამ მოედანზე ძალიან ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გვყავდა, რომელთაც გამოცდილება და ეშმაკობა აკლიათ. დახეთ, როგორ გაგვიტანა „დორტმუნდმა" გოლები. მათ ევროპულ დონეზე თამაშის მეტი გამოცდილება აქვთ და იციან, როგორ მოიპოვონ საჯარიმო დარტყმის უფლება მეტოქის საჯარიმო მოედნის სიახლოვეს — ასეთი ალღო ერთობ სასარგებლოა. რაც შეეხება ალტინტოპს, მსურს, გაგაფრთხილოთ — ძალიან ნუ აქებთ ბიჭს. ისე კი, მისი მოძრაობის ტემპის შეცვლის უნარი ჯეელ ლოთარ მათეუსს მაგონებს".

**დავით თავართქილაძე**



ლევან კობიაშვილი დორტმუნდელ ევერტონს აუხტა


სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49




მონაკო — ბორდო. სულეიმან კამარას (№26) „მონაკო" მაურისიო პოჩეტინოის „ბორდოს" ორი გოლით და სამი ქულით დასცილდა

# ეს ის არ არის

## საფრანგეთი

I დივიზიონი. I ტური

**მონაკო 2:0 ბორდო**
1:0, 2:0 ნონდა (32, 57პ)

**გენგამი 0:1 მარსელი**
0:1 ბაკაიოკო (89)

**ოსერი 1:2 ნიცა**
0:1 ლასლანდი (8), 0:2 პიტო (47), 1:2 ჟაურესი (88პ)

**ლანსი 0:0 ლე მანი**

**მეცი 0:1 აიაჩო**
0:1 რეგრაგი (43)

**მონპელიე 1:1 რენი**
0:1 უადუ (25), 1:1 მანსარე (83პ)

**პსჟ 0:0 ბასტია**

**სოშო 2:1 ნანტი**
0:1 ვაირუა (12), 1:1 ფრო (23პ), 2:1 ზაირი (89)

**ტულუზი 1:1 სტრასბური**
1:0 ფაურე (60), 1:1 ბასილა (39)

**ლილი 1:0 ლიონი**
1:0 მაკუნი (12)

**პირველივე** ტურში ჩემპიონი გაამწარეს. აქედანვე ცხადია, რომ ფრანგული ლიგის ოცეული გვარიანად აიბლანდება.

„ლიონი" იმიტომ გაამწარეს, რომ მასპინძლებმა კარში ერთხელ დაარტყეს, ისიც თამაშის დასაწყისში და გოლი გაიტანეს. პოლ ლე გუენის გახალგაზრდავებული გუნდი მატჩის ბოლომდე გააფრთებით ცდილობდა გათანაბრებას, მაგრამ ამაოდ.

„ლილმა" მხოლოდ ერთი კუთხური ჩააწოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გატანილი გოლის შემდეგ მეტოქის ნახევარზე ალარაფერი უკეთებია. „ლიონის" ახალწვეულები მწვრთნელს რიგრიგობით ეპრანჭებოდნენ. მალუდამ, რევეილერმა და ესიენმა გრეგორი უიმბეს კარს არაერთხელ შეუტიეს.

შესვენების შემდეგ ლე გუენმა გამოცდილი ვიკაშ დორასო და ერიკ კარიერიც მიახმარა გუნდს, თუმცა სონი ანდერსონის შემცვლელი ნაპერწკალა „ლიონში" არავინ აღმოჩნდა. გარდა ამისა, სიდნეი გოვუც ტრავმირებულია და ალბათ აგვისტოს ბოლომდე იმკურნალებს.

დაახლოებით იგივე მოხდა ოსერში. ჯიბრილ სისემ და მისმა დამქაშებმა „ნიცას" ნიჭიერ მეკარეს დამიენ გრეგორინის გამოცდა მოუწყვეს. ოღონდ მაშინ, როცა უკვე 0:2-ს აგებდნენ. სამშობლოში დაბრუნებულმა ლილიან ლასლანდმა საბურთაოდ ლაჟვარდოვანი სანაპირო არჩია და მისი გამოცდილება ნიცელებს ამ სეზონში ნამდვილად წაადგებათ. ლასლანდმა მეათე წუთზევე საჯარიმოს გარედან ისეთი დაატუხა, რომ ფაბიენ კოლს მოგერიების შანსი არ დაუტოვა. გოლის ავტორმა შესვენებამდე ერთი გაფრთხილების მიღებაც მოასწრო, მისმა თანაგუნდელებმა კი ანგარიშის გაზრდა. რომენ პიტომ კოლი მეორედ დაამწუხრა.

მეორე ტაიმში „ოსერმა" ოცჯერ დაარტყა მეტოქის კარისკენ. რაც კარში მიდიოდა, გრეგორინიმ ყველა მოიგერია ერთის გარდა. ისიც ბოლო წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაუტანეს.

სეზონის დაწყებამდე შარშანდელთან შედარებით „ლანსი" დასუსტდა. გუნდის კაპიტანმა ანტუან სიბიერსკიმ საფრანგეთი ინგლისზე გაცვალა. იგი „მანჩესტერ სიტის" შეუერთდა და კევინ კიგანის შეგირდი გახდა. ჯილაგამოცლილმა „ლანსმა" პირველი ტურში დებიუტანტ „ლემანს" ვერაფერი მოუხერხა, რადგან ძირითადად სიბიერსკი იყო შეტევის დამწყებ-დამსრულებელი.

პსჟ-მ „ბასტიას" რომ ვერ მოუგო, ამის უპირველესი მიზეზი უფორვარდობაა. პედრუ პაულეტას მცირე ტრავმა აწუხებს და პარიზელებმა მოედანზე მისი გაყვანა ვერ გარისკეს. ისე კი, „პარკ დე პრენსზე" შეკრებილ 30 ათას დედაქალაქელს მაინცდამაინც საამო სანახაობა არ უნახავს, მასპინძლები მეტად უკბილოდ უტევდნენ და კუნძულელმა ნიკოლო პენეტომ სულ ორჯერ მოიგერია ბურთი. პსჟ-ს კუთხურიც კი არ ჩაუწოდებია. ეს ჩემი გუნდის საკადრისი თამაში არ არის — თქვა ნამატჩევს ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა.

„სოშომ" წინა სეზონის სვლა განაგრძო და ჯერჯერობით შინ დაუმარცხებელია. მასპინძლებმა პირველი ტაიმის დასაწყისში გოლი მარამა ვაიროუასგან გაუშვეს, რომელმაც მცველის ბითურობით ისარგებლა და საჯარიმოში შესულმა ძლიერად დაჰკრა. პიერ ალან ფროომ შესვენებამდე თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაათანაბრა, რომელიც სტეფან დრუინისგან ვისლონ ორუმას წაქცევას მოჰყვა.

თამაში ფრისკენ იხრებოდა, მაგრამ დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ჟაუად ზაირიმ „სოშოს" გამარჯვებინა.

„ნანტმა" კი წააგო, მაგრამ ერთი ფეხბურთელით გამდიდრდა. მათ „მალიორკადან" არგენტინელი მცველი ხუან ხოსე სერისუელა ერთი წლით ითხოვეს.

„მონაკომ" ჯერჯერობით მისავათებული „ბორდო" მოულოდნელი შაბანი ნონდას დუბლით დაამარცხა. გასული სეზონის მთავარმეგოლემ პირველი შესვენებამდე გაიტანა, საჯარიმო დარტყმა უზადოდ შეასრულა. კედელს და ულრიხ რამეს შემცვლელ ფრედერიკ რუს ბურთი თავზე გადაავლო. ნონდამ მეორე პენალტის ნაშნულიდან მიითვალა. „პირველი მატჩი ყოველთვის მნიშვნელოვანია. როცა მოიგებ და თან გოლსაც არ გაუშვებ, ეს ორმაგად სასიხარულოა" — თქვა დიდიე დეშანმა, რომელიც ზედმეტ პურისმჭამელებს გუნდიდან უშვებს. მარსელო გალიარდო „რივერ პლეიტში" დაბრუნებას აპირებს, იტალიელი მარკო სიმონეს თქმით კი, მას „ლაციოდან" დაურეკეს და რომში გადასვლა შესთავაზეს.

„ბევრი შრომა დაგვჭირდება, საუკეთესო ფორმას რომ მივაღწიოთ. გუნდი გვყავს, ფეხბურთელები მონდომებულნი არიან და ამიტომ მეც იმედიანად ვარ" — ეს კი „ბორდოს" მწვრთნელ ელი ბოპის ნათქვამია. „მარსელმა" იბრაგიმ ბაკაიოკოს გოლით გაიმარჯვა. ამ დროისთვის იგი „მონაკოსთან" წყვილში სხვებზე მეტად აწყობილ-გამართული გუნდია. სამხრეთელთა შემადგენლობა აჰმედ მიდომ, დიდიე დროგბამ და სტეფან ვახოუშეკმა ჯეროვნად გააძლიერეს და სწორედ მათი წყალობითაა, „მარსელმა" ჩემპიონატი ახალი ენერგიით რომ დაიწყო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ნიცა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სოშო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მარსელი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| აიაჩო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლილი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| რენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ტულუზი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სტრასბური | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მონპელიე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლე მანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბასტია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პსჟ | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლანსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ნანტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ოსერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| გენგამი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მეცი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ლიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბორდო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

II დივიზიონი

**1-ლი ტური:** ლე ავრი — ნანსი 0:0; ანჟერი — ვალანსი 0:2; შატორუ — სენტ ეტიენი 2:0; კლერმონი — რუანი 0:0; გრენობლი — ბეზანსონი 0:0; გენიონი — ლორიანი 1:1; ისტრი — სედანი 2:0; ლავალი — ამიენი 1:2; ნიორი — კრეტეი 3:0; ტრუა — კაენი 2:2

ამხანაგური მატჩი



REUTERS მედიაფოტო

დევიდ ბექემის პირველი რეალური საჯარიმო უზუსტო იყო

# მუშებმა ნახეს რომბი
## გუტის პასები და მორიენტესის გოლები

**დრაკონი (ჩინეთი) 0:4 რეალი (ესპანეთი)**

0:1 ფიგუ (42), 0:2, 0:3 მორიენტესი (74, 86), 0:4 პორტილიო (89)

რეალი: კასილიასი (სესარი 80), სალგადო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი (რაულ ბრავო 80), ბექემი (სელადესი 72), მაკელელე (პორტილიო 80), ფიგუ (სოლარი 65), ზიდანი (გუტი 65), რაული (კამბიასო 72), რონალდო (მორიენტესი 65)

მწვრთნელი: კარლოს კეიროში

65 000 მაყურებელი

შეფასება — სრულიად ნორმალური. ფლაგმანები — ლუიშ ფიგუ და ზინედინ ზიდანი. დევიდ ბექემის დებიუტი — დამაკმაყოფილებელი, ჩვეული ოსტატობის ნიშნებით. კარლოს კეიროშის დებიუტი — მაყურებელმა იხილა რომბული სქემა შეტევაზე აქცენტით. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ამ ტაქტიკის დახვეწა ღირს. ამინდი — ცხელოდა და ტენიანობაც მაღალი იყო, თუმცა ამას თამაში არ გაუფუჭებია, 50 ათასი მაყურებელი — პეკინის მუშათა სტადიონი სავსე იყო. გოლები გაიტანეს ფიგუმ, ფერნანდო მორიენტესმა ორი და პორტილიომ. პეკინელმა დრაკონებმა 0:4 წააგეს.

ერთი სიტყვით, „რეალის" ათდღიანი მზადება და ვარჯიშები რომ დასრულდა, თამაშის დროც დადგა. ევროპელი ჟურნალისტების მტკიცებით, ატმოსფერო, რომელიც ჩინელებმა ზემოხსენებულ მუშათა სტადიონზე შექმნეს, მაქსიმალურად ჰგავდა უეფას ჩემპიონთა ლიგის შეხვედრათა ატმოსფეროს, რომელსაც ზეიმის ელფერი სხვა მრავალ მიზეზთან ერთად ინგლისის ნაკრების კაპიტნის, დევიდ ბექემის დებიუტმა მისცა. იგი ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე ანუ მისთვის ჩვეულ ადგილას მოქმედებდა, ფიგუმ კი მარცხნივ გადაინაცვლა. შუაში ზიდანი და კლოდ მაკელელე მოქმედებდნენ.

დაიწყო თუ არა თამაში, ნათელი შეიქნა, რომ ფეხბურთელები მას ჩვეულებრივ, მოსაწყენ ამხანაგურ ლაზღანდარობად არ აღიქვამენ — როგორც ჩანს, რეკლამამ თავისი როლი ითამაშა. საინტერესოა, რომ ბექემი ცენტრში შესვლას არ ერიდებოდა და არც ზიდანი და ფიგუ გაურბოდნენ ერთმანეთისთვის პოზიციების გაცვლას; ერთიცა და მეორეც გვარიანად ეხმარებოდნენ შეტევაზე მომართულ რობერტო კარლოსს.

სეზონისწინა შეხვედრის, მით უფრო, პირველი შეხვედრის კვალობაზე თამაშის ტემპი მაღალი და რიტმი ფრიად ინტენსიური იყო. შესვენებამდე მომენტებიც მრავლად იყო — რობერტო კარლოსმა ძელს მოარტყა ბურთი, რონალდომ თავური (!) დაარტყა და ბურთი მცველმა შემთხვევით უკუაგდო.

ხოლო დევიდ ბექემმა ორჯერ, 21-ე და 32-ე წუთებზე ჯარიმები დაარტყა. პირველი დარტყმა მეკარემ მოიგერია, მეორე — ძელს მოხვდა.

შესვენების შემდეგ გუნდები მოედანს იმავე შემადგენლობით დაუბრუნდნენ. „რეალის" იდეაც იგივე იყო: გუნდის თამაშის მთლიანად ზიდანსა და ფიგუს უნდა აეწყოთ. საინტერესოა, რომ კეიროშმა ეს ორი ვარსკვლავი ერთად, 65-ე წუთზე გუტითა და სოლარით შეცვალა და იქვე მორიენტესმა რონალდოს ადგილი დაიკავა — რონალდო მაინცდამაინც იღბლიან ფეხზე არ იყო იმ დღეს ამდგარი. გაირკვა, რომ კეიროშს ცვლილებები დროულად განუხორციელებია. 72-ე წუთზე ბექემი და რაული სელადესმა და კამბიასომ შეცვალეს, ორი წუთის შემდეგ კი მორიენტესმა გოლიც შეაგდო, თუმცა მანამდე პირველი გოლი იყო და მისი ამბავი არ გვითქვამს:

პირველი გოლი ჯერ კიდევ შესვენებამდე, 42-ე წუთზე გავიდა, როდესაც ზიდანმა რონალდო აამოქმედა, მან კი ბურთი ფიგუს მიაწოდა, რათა პორტუგალიელს იოლად და კოხტად გაეხსნა ანგარიში.

მეორე, როგორც მოგახსენეთ, 74-ე წუთზე მოხდა, მას შემდეგ, რაც რობერტო კარლოსის დარტყმული მეკარე ლი იანმა მოიგერია, მაგრამ ბურთთან ყველაზე ადრე და მკვირცხლად მორიენტესი მიიჭრა.

მესამე ისევ მორიენტესმა, 86-ე წუთზე შეაგდო, როდესაც გუტიმ ფანტასტიკური ასისტენტობა გაუწია, მან კი დაუყოვნებლივ და ტექნიკურად დაარტყა.

მეოთხე კი 89-ე წუთზე, მოედანზე მაკელელეს ნაცვლად ცხრა წუთის შესულმა პორტილიომ შეაგდო, როდესაც ისევ გუტიმ გასწია ჩინებული ასისტენტობა, ფორვარდმა კი მეკარესთან პირისპირ შეცდომა არ დაუშვა.

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS მედიაფოტო

ჩინელები პირველმა ლუიშ ფიგუმ დააწიოკა

## რუსეთი

**პრემიერლიგა. XIX ტური**

**სპარტაკი 2:5 ლოკომოტივი**

0:1 ბუზნიკინი (27), 0:2 აშვეთია (35), 0:3 მამიროვი (56), 0:4 აშვეთია (60), 1:4 ტიტოვი (62), 1:5 იგნაშევიჩი (79), 2:5 ბელოზეროვი (90)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, სენიკოვი, პაშინინი, ლეკხეტო (ევსეევი 64), იზმაილოვი (მამიროვი 46), ლოსკოვი, ხოხლოვი, აშვეთია, ბუზნიკინი (პარკსი 78)

გაფრთხილება: ლეკხეტო, აშვეთია

**რუბინი 3:1 ჩერნომორეცი**

1:0 კონოვალოვი (31), 2:0 ჩალაძე (40), 2:1 ანტიუხინი (67), 3:1 ნეჩაევი (75)

რუბინი: კოზკო, სკოტი, სინიოვი, ნოვოტნი, შარონოვი, სიბაია, ბოიარინცევი, კონოვალოვი (სილვა 65), რონი, კალისტო, ჩალაძე (ნეჩაევი 65)

**ტორპედო 3:0 ტ. მეტალურგი**

1:0 სამუსევასი (13), 2:0 ლებედენკო (22), 3:0 უდილინი (39)

ტ. მეტალურგი: ლავრენცოვი, ჟიაუკშტახი, შუსტიკოვი (კომადინა 27), რეხვიაშვილი (ლეონოვი 56), ოგანიანი, კოლესნიჩენკო, ხლესტოვი, ოვსეპიანი, მოვსესიანი, ცელიშჩაკი (მონარიოვი 67), აშურმატოვი

**შინიკი 1:1 ცსკა**

1:0 კუშევი (9), 1:1 ბოლიჩი (46)

**ურალანი 0:0 კრილია სოვეტოვი**

**ზენიტი 2:1 სპარტაკ-ალანია**

1:0, 2:0 რადიმოვი (9, 49), 2:1 სიკოევი (90)

**როტორი 0:1 სატურნი**

0:1 მედვედევი (89)

**დინამო 1:1 როსტოვი**

1:0 ბალტიევი (7), 1:1 მზგუნი (54)

იური სიომინმა ორკვირიან საზაფხულო არდადეგებზე ორი ფეხბურთელი დაიმატა და აი, შედეგიც: „ლოკომოტივი" ცხრილის ქვედა ნახევარს დაუსხლტა და მეშვიდე ადგილს უწია. აშვეთიამ რუსეთის ჩემპიონს სიბასრე შემატა. ხოხლოვმა, ბუზნიკინმა და ლოსკოვმა გუნდის ნახევარდაცვა შესანიშნავად მომართეს და ამ შემადგენლობით „ლოკომოტივმა" ალბათ ჩემპიონთა ლიგაში უნდა შეაღწიოს.

# გაზაევს იაროსლავლში გარდარი მოელანდა
## შინიკის მეკარემ ჯარი მოედნიდან გაყარა

„სპარტაკთან" მატჩის დაწყებიდან ერთ საათში „სახალხო გუნდი" უკვე ოთხი უპასუხო გოლით იყო შერცხვენილი და „ლოკო" მხოლოდ ამის შემდეგღა მოეშვა. ტიტოვისა და ბელოზეროვის ორი საპასუხო გოლი კი „სპარტაკის" ქომაგებს თუ დაამშვიდებთ.

ჩემპიონთა ლიგაში შესაძრომად მომართული რკინიგზელები კიდევ უფრო გაძლიერებას ლამობენ. კვირას სან პაულოდან პარიზის გავლით „კორინთიანსის" 22 წლის მევოლე ლეანდრო აზევედუ მოსკოვში ჩაფრინდა, გუშინ კი რუსული კლუბის წარმომადგენლებთან თავისი მომავალი კონტრაქტის პირობებს გაარკვევდა.

ლეანდრო აზევედუს ნაკვალევს მისი თანაგუნდელი, 25 წლის ნახევარმცველი ჟორჟე ვაგნერიც მიჰყვება. ვაგნერი „კრუზეიროს" ეკუთვნის და „კორინთიანსში" იჯარით თამაშობს. შესაძლოა, „ლოკომოტივმა" ორივე ბრაზილიელი დაიტოვოს.

იაროსლავში „შინიკმა" ცსკა-ს პირველი ტაიმი მოუგო. მასპინძლებმა ზედიზედ 24 საშინაო მატჩში მარცხი არ იციან. 2002 წლის 8 მარტს „სატურნთან" რომ წააგეს, მას შემდეგ იაროსლავლიდან სამი ქულა არავის წაუღია. ეს ვერც ვალერი გაზაევის გუნდმა შეძლო. სტუმრები მატჩისწინა მოთელვისას მოედნის ერთი ნახევრიდან მეორეზე მასპინძელთა სათადარიგო მეკარემ რადოსტინ სტანევმა გადალალა.

„შინიკის" ფეხბურთელები ყოველთვის თურმე ერთსა და იგივე ნახევარზე ვარჯიშობენ და ამ ტრადიციას არ ცვლიან. ამჯერადაც გაჭრა. მეორე ბულგარელმა ლეგიონერმა მარტინ კუშევმა სტუმრებს სკოპიეს „ვარდარის" გოლი გაახსენა და ანგარიში გახსნა.

მოსკოველები მარცხისგან ახალშეძენილმა ფორვარდმა ივიცა ოლიჩმა იხსნა. 5 მილიონ დოლარად ღირებულმა ხორვატმა თავის სადებიუტო შეხვედრაში პირველი გოლი შეაგდო და ცსკა-ს ქულა ააღებინა.

იაროსლავლში არმიელთა ფანებიც იყვნენ, რომლებმაც მწვრთნელს „ვარდართან" მომავალი მატჩი ლოზუნგებით შეახსენეს. „ანტრახტი" — 0:6, „რეინჯერსი" — 2:7, „ვარდარი" — 1:2, გაზაევის პროგრესი აშკარაა! — თუ ვერ მოიგებთ, სკოპიედან არ დაბრუნდეთ!" — აი, ასეთი წარწერები სჭარბობდა.

ყაზანის „რუბინმა" მიჯრით მეშვიდე მატჩი არ წააგო. ამჯერად თათრეთს „ჩერნომორეცი" ეწვია. ზღვისპირელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ, სერგეი პავლოვი. მათ ვერც მწვრთნელის ცვლამ უშველათ. შესვენებამდე სტუმართა კარში ბურთი ორჯერ შეაგელვეს. „ჩერნომორეცი" მეორე ტაიმის დასაწყისში უკეთ ათამაშდა და ანტიუხინის წყალობით ერთი გოლიც გაიქვითა. სტუმრებმა ქულის გადასარჩენად ბრძოლა სცადეს, მაგრამ ნეჩაევის მესამე გოლმა მათი სურვილი გაანელა.

ელისტის „ურალანის" ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებულმა მეკარემ იური ოყროშიძემ რუსული პრემიერლიგის ბომბარდირის, კარიაკას დარტყმული თერთმეტმეტრიანიც მოიგერია და სამარელთა არაერთი იერიშიც.

სანკტ პეტერბურგში „ზენიტ" — „სპარტაკ-ალანიას" სანახავად გამზადებულ გულშემატკივართა ნახევარმა ვერ შეიტყო, რომ მატჩი სიცხის გამო სამი საათით გადაწიეს და სტადიონზე ნაადრევად მივიდნენ. ვლადიკავკაზელებმა შედარებითი სიგრილითაც ვერ ისარგებლეს, ცხრამეტიდან მეთოთხმეტე შეხვედრა დათმეს. ბახვა თედეევმა გუნდში ყოფილი სპარტაკელი ვასილი ბარანოვი გადაიყვანა, რომელმაც ოდნავ კი გააუმჯობესა ალანიელთა შეტევების ორგანიზება, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკმარისი არ ჩანს.

„ტორპედო-მეტალურგის" გადასარჩენად მიწვეულმა ვალენტინ ივანოვმა მისია ვერ შეასრულა და ნახევრად თანამოსახელე „ტორპედოსთან" მარცხის შემდეგ პოსტი მიატოვა. მან ერთი თვის წინაც დააპირა წასვლა, მაგრამ მოაბრუნეს, ახლა კი გადაწყვეტილება საბოლოოა, „თუ გუნდი ქულებს ვერ აგროვებს, მწვრთნელი უნდა წავიდეს" — თქვა წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 20 | 12 | 5 | 3 | 38:23 | 41 |
| სატურნი | 19 | 9 | 7 | 3 | 26:16 | 34 |
| დინამო | 19 | 9 | 6 | 4 | 32:19 | 33 |
| ზენიტი | 19 | 9 | 5 | 5 | 25:23 | 32 |
| რუბინი | 19 | 8 | 7 | 4 | 26:16 | 31 |
| შინიკი | 19 | 7 | 9 | 3 | 26:16 | 30 |
| კრილია | 19 | 7 | 8 | 4 | 25:17 | 29 |
| ლოკომოტივი | 20 | 8 | 5 | 7 | 31:27 | 29 |
| ტორპედო | 19 | 7 | 6 | 6 | 24:22 | 27 |
| როსტოვი | 19 | 6 | 7 | 6 | 20:26 | 25 |
| სპარტაკი | 19 | 6 | 4 | 9 | 26:32 | 22 |
| როტორი | 19 | 5 | 4 | 10 | 22:28 | 19 |
| ურალანი | 19 | 4 | 7 | 8 | 12:24 | 19 |
| ჩერნომორეცი | 19 | 4 | 6 | 9 | 20:29 | 18 |
| ალანია | 19 | 4 | 1 | 14 | 11:33 | 13 |
| ტ. მეტალურგი | 19 | 2 | 5 | 12 | 12:25 | 11 |

## ბრაზილია

23-ე ტური: ფლუმინენსე — კრუზეირო 2:2; გრემიო — სანტოსი 2:0; სან კაეტანო — ჟუვენტუდე 1:1; სან პაულუ — ინტერნასიონალი 0:2; ფიგეირენსე — გოიასი 0:1; პარანა — კორინთიანსი 1:1; პაისანდუ — გუარანი 6:1; კურიტიბა — ფორტალეზა 1:1; ბაია — კრისიუმა 2:2; პონტე პრეტა — ფლამენგო 1:1; ვასკუ და გამა — ატლ. პარანენსე 2:1; ატლ. მინეირო — ვიტორია 1:0

# მაჩანჩალებმა ივარგეს



ფლუმინენსე — კრუზეირო. ჟონათან პერეირამ და მაურინიო სერჟიომ ერთმანეთი ჰაერში დაზურგეს

„პონტე პრეტას" მეკარე ლუაურო „ფლამენგოს" მცველთა თავზე წამოიმართა და მოხდენილი თავურით ბურთი მოწინააღმდეგის კარში ჩააჭედა. ანგარიში გათანაბრდა, 1:1. ეს იყო ძირითად დროს წამატებული შვიდი წუთის თავზე. მსაჯმა ლეონარდო გასიკამ თამაშს ჯერ ხუთი წუთი დაამატა, მერე კიდევ სამი, რადგან როელზე კარპელოსს და პრეტელ რონილდოს ჩხუბი მუხდათ და ორივენი მინდვრიდან გააძევეს.

ანგარიში მენგოელმა ფაბიო ბაიანომ გახსნა. ლუაუროს გოლმა „პონტე პრეტა" მეცამეტე ადგილზე დატოვა. „ფლამენგო" კი მე 14-ეზე. სამაგიეროდ, ბრაზილიის ყველაზე პოპულარულ კლუბს არ წაუგია მას შემდეგ, რაც მწვრთნელად ოსვალდო დი ოლივეირა დაუდგა. ეს უკანასკნელი სეზონს „სან პაულუში" შეხვდა, მაგრამ იქიდან ერთი ამბით დაითხოვეს.

ცხრილის სათავეში კვლავ „კრუზეირო", რომელიც ჩემპიონატის შუაგზაზე 3 ქულით უსწრებს „სანტოსს". „კრუზეირო" 2:0 უგებდა ცხრილის ბოლოში ჩაკარგულ „ფლუმინენსეს". პირველი ტაიმის შემდეგ „კრუზეირო" წინ იყო ვიქტორ უგო არისტისაბალისა და მოტას გოლებით, მაგრამ „ფლუს" იმედი გაუღვიძა კრისის ავტოგოლმა, რომელიც მეორე ნახევრის დასაწყისშივე გავიდა. „ფლუ" მასპინძელი იყო და თავი დადო, იმის მიუხედავად, რომ ყოზაფა გაუძევეს და ათი კაცით უტევდა. ჰოდა, დაუფასდა კიდეც — მარკაომ 87-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში.

კიდევ უფრო ივარგა „გრემიომ", რომელმაც „სანტოსს" 2:0 მოუგო, თუმცა კვლავაც 23-ე ადგილზე დარჩა. „გრემიოს" სეზონში მესამე მწვრთნელი ჰყავს და ბოლო შვიდ თამაშში ვერ მოეგო, იქედან ბოლო ოთხში კი გოლიც ვერ გაეტანა. ახლა კი ჟორჟემ და ჟორჟი მუტიმ პირველ ტაიმშივე მოუთავეს ხელი ემერსონ ლეაოს გუნდს.

**ლუჟაუ დუ მოზკაუ**

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 23 | 14 | 5 | 4 | 52:29 | 47 |
| სანტოსი | 23 | 13 | 5 | 5 | 43:25 | 44 |
| სან პაულუ | 23 | 12 | 6 | 5 | 42:32 | 42 |
| კურიტიბა | 23 | 11 | 6 | 6 | 36:28 | 39 |
| ატლ. მინეირო | 23 | 10 | 8 | 5 | 40:31 | 38 |
| ინტერნასიონალი | 23 | 10 | 6 | 7 | 32:28 | 38 |
| კრისიუმა | 23 | 11 | 4 | 8 | 33:31 | 37 |
| პარანა | 23 | 10 | 5 | 8 | 45:37 | 35 |
| კორინთიანსი | 23 | 8 | 9 | 6 | 37:27 | 33 |
| სან კაეტანო | 23 | 7 | 11 | 5 | 22:21 | 32 |
| გუარანი | 23 | 9 | 4 | 10 | 36:37 | 31 |
| პაისანდუ | 23 | 8 | 6 | 9 | 42:41 | 30 |
| პონტე პრეტა | 23 | 8 | 9 | 6 | 34:32 | 29 |
| ფლამენგო | 23 | 7 | 8 | 8 | 32:38 | 29 |
| ფიგეირენსე | 23 | 7 | 7 | 9 | 25:30 | 28 |
| ვასკუ და გამა | 23 | 7 | 7 | 9 | 30:36 | 28 |
| ვიტორია | 23 | 7 | 6 | 10 | 25:37 | 27 |
| ატლ. პარანენსე | 23 | 7 | 5 | 11 | 30:33 | 26 |
| ბაია | 23 | 6 | 7 | 10 | 27:36 | 25 |
| ჟუვენტუდე | 23 | 5 | 7 | 11 | 24:40 | 25 |
| ფორტალეზა | 23 | 6 | 5 | 12 | 28:38 | 23 |
| ფლუმინენსე | 23 | 6 | 5 | 12 | 27:41 | 23 |
| გრემიო | 23 | 6 | 4 | 13 | 24:33 | 22 |
| გოიასი | 23 | 4 | 9 | 10 | 34:39 | 21 |

*შენიშვნა: „პონტე პრეტას" დაკლებული აქვს 4 ქულა, „ინტერნასიონალს" დამატებული აქვს ორი ქულა, „ჟუვენტუდეს" დამატებული აქვს სამი ქულა. თანაბარქულიანობისას უპირატესობა მოგებათა რაოდენობას ენიჭება*

## ბელგია

სუპერთასი

ბრიუგე 1:1დ.დ.(პენ.5:4, 1:1) ლუვიე

0:1 ვერვალე (7), 1:1 ნ. ჩება (58)

## რუმინეთი

სუპერთასი

რაპიდი 1:0დ.დ.(0:0) დინამო

1:0 ნიტა (92)

## უნგრეთი

მე-2 ტური: პეჩი — ბეკეშჩაბა 3:0; ფერენცვაროში — ვიდეოტონი 2:2; უიპეშტი — შოპრონი 1:3; დებრეცენი — პალადაში 3:0; ზალაეგერსეგი — მტკ 1:3; დიოშგიორი — ბალატონი 0:0

## ფინეთი

მე-15 ტური: ჰიკ — ლაჰტი 2:0; ინტერი — კუოპიო 1:2; ტამპერე — ჰაამენლინა 4:0; იოკერიტი — იარო 1:1; კტპ — ალიანსი 0:1; ტურკუ — მიუპა 1:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 14 | 11 | 2 | 1 | 34:5 | 35 |
| ჰიკ | 15 | 9 | 4 | 2 | 28:13 | 31 |
| ტამპერე | 13 | 8 | 2 | 3 | 23:9 | 26 |
| ალიანსი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:19 | 24 |
| მიუპა | 13 | 7 | 2 | 4 | 22:12 | 23 |
| ჰამენლინა | 15 | 5 | 4 | 6 | 15:28 | 19 |
| ტურკუ | 15 | 4 | 5 | 6 | 18:22 | 17 |
| იოკერიტი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:19 | 16 |
| იარო | 15 | 3 | 7 | 5 | 20:25 | 16 |
| ინტერი | 15 | 4 | 3 | 8 | 22:26 | 15 |
| ლაჰტი | 15 | 3 | 6 | 6 | 16:21 | 15 |
| ჯაზი | 14 | 4 | 2 | 8 | 18:32 | 14 |
| კტპ | 14 | 4 | 1 | 9 | 20:28 | 13 |
| კუოპიო | 15 | 3 | 3 | 9 | 17:35 | 12 |

## შვედეთი

ალსვენსკა. XVI ტური

ელფსბორგი — იურგორდენი 0:2; ენკიოპინგი — იორგრიტე 1:3; სუნდსვალი — ჰელსინგბორგი 0:1. გიოტებორგი — ისტერი, ლანდსკრონა — მალმიო, იორებრო — ჰალმსტადი და აიკ — ჰამარბი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 16 | 11 | 1 | 4 | 36:12 | 34 |
| ჰამარბი | 15 | 8 | 4 | 3 | 21:15 | 28 |
| მალმიო | 15 | 7 | 5 | 3 | 26:15 | 26 |
| ჰალმსტადი | 15 | 8 | 2 | 5 | 26:18 | 26 |
| იორგრიტე | 16 | 8 | 2 | 6 | 26:25 | 26 |
| აიკ | 15 | 7 | 3 | 5 | 23:18 | 24 |
| ჰელსინგბორგი | 16 | 7 | 3 | 6 | 16:23 | 24 |
| იორებრო | 15 | 6 | 4 | 5 | 19:21 | 22 |
| გიოტებორგი | 15 | 5 | 4 | 6 | 20:15 | 19 |
| ლანდსკრონა | 15 | 4 | 6 | 5 | 15:18 | 18 |
| ელფსბორგი | 16 | 4 | 5 | 7 | 16:24 | 17 |
| სუნდსვალი | 16 | 2 | 7 | 7 | 15:22 | 13 |
| ისტერი | 15 | 2 | 4 | 9 | 12:28 | 10 |
| ენკოპინგი | 16 | 2 | 4 | 10 | 15:32 | 10 |

სუპერეტა. XVII ტური

ატვიდაბერგი — კალმარი 1:3; ვასტერასი — ფრიოლუნდა 2:3; ბოდენი — კაფე ოპერა 1:4; სილვია — იფკ მალმიო 2:3; ასირსკა — ბრომაპოიკარნა 3:0; ფალკენბერგი — ტრელებორგი 1:0; გეფლე — ნორჩიოპინგი 2:1; ჰეკენი — ფორვარდი 2:1

## ნორვეგია

ტიპელიგა. XV ტური

ლინი — ბოდიო გლიმტი 1:2; ალესუნდი — ვოლერენგა 0:2; ლილესტრიომი — მოლდე 3:0; სოგნდალი — ბრინი 4:0; ვიკინგი — ტრომსიო 4:0; რუსენბორგი — ბრანი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 15 | 11 | 3 | 1 | 38:12 | 36 |
| სოგნდალი | 15 | 8 | 3 | 4 | 30:21 | 27 |
| ბოდიო გლიმტი | 15 | 7 | 4 | 4 | 20:16 | 25 |
| ვიკინგი | 15 | 6 | 6 | 3 | 26:15 | 24 |
| ოდ გრენლანდი | 14 | 7 | 2 | 5 | 23:22 | 23 |
| ლილესტრიომი | 15 | 5 | 6 | 4 | 17:21 | 21 |
| სტაბეკი | 14 | 5 | 5 | 4 | 22:19 | 20 |
| ბრინი | 15 | 6 | 1 | 8 | 25:26 | 19 |
| ვოლერენგა | 15 | 4 | 5 | 6 | 17:17 | 17 |
| მოლდე | 15 | 5 | 2 | 8 | 18:25 | 17 |
| ლინი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:28 | 16 |
| ბრანი | 15 | 3 | 6 | 6 | 19:27 | 15 |
| ალესუნდი | 15 | 2 | 6 | 7 | 17:26 | 12 |
| ტრომსიო | 15 | 3 | 3 | 9 | 18:34 | 12 |

I დივიზიონი. XVII ტური

ალტა — მოსი 3:2; ბერუმი — ჰიონეფოსი 1:2; ფრედრიკსტადი — რაუფოსი 3:0; ჰაუგესუნდი — სკეიდი 2:0; მანდალსკამერატენე — ჰამ კამი 1:6; ოსლო იისტი — ჰიოდი 1:1; სანდეფიორდი — სტარტი 1:2; სტრომგოტსეტი — ორნ ჰორნტენი 4:2

## არგენტინა

აპერტურა. I ტური

სან ლორენსო — ჩაკარიტა 1:2; კოლონი — რასინგი 0:0; არსენალი — ტალიერესი 1:1; ბანფილდი — ოლდ ბოიზი 0:0; როსარიო — ველესი 2:1; ხიმნასია — ბოკა ხუნიორსი 0:1; ოლიმპო — ლანუსი 2:2; კუილმესი — ატლეტიკო რაფაელა 3:1; რივერ პლეიტი — ნუევა ჩიკაგო 2:1; ინდეპენდიენტე — ესტუდიანტესი 3:1

## ურუგვაი

მე-3 ტური: რივერ პლეიტი — ტაკუარემბო 1:0; მირამარ მისიონესი — ბელა ვისტა 0:1; ლივერპული — უონდერერსი 2:1; ნასიონალი — დეპორტივო კოლონია 1:1; პენიაროლი — ხუვენტუდი 1:0; დეპორტივო მალდონადო — სერო 1:0; პლასა კოლონია — დეფენსორ სპორტინგი 1:0; ფენიქსი — სენტრალ ესპანიოლი 1:0; ვილა ესპანიოლა — დანუბიო 3:3

## ჩილე

მე-2 ტური: სან ფელიპე — კოკიმბო 1:2; უაჩიპატო — უნივერსიდად კათოლიკა 1:3; კოლო კოლო — უნიონ ესპანიოლა 3:3; პუერტო მონტი — უნივერსიდად დე კონსეპსიონე 0:4; კობრელოა — რეინჯერსი 4:0; კობრესალი — აუდაქს იტალიანო 2:0; უონდერერსი — უნივერსიდად დე ჩილე 2:1; ტემუკო — პალესტინო 2:3

## იაპონია

მე-15 ტური: სენდაი — კაშივა 1:2; იჩიჰარა — ურავა 1:2; ვერდი — გამბა 2:3; იოკოჰამა — კობე 3:0; ივატა — ტოკიო 1:0; კიოტო — კაშიმა 3:1; სერეზო — ნაგოია 2:1; გოიტა — შიმიცუ 0:0

## მექსიკა

1-ლი ტური: ტოლუკა — ატლანტე 3:4; კრუზ ასული — მონტერეი 1:0; ნეკაქსა — სან ლუისი 1:1; ტიგრესი — ხაგუარესი 1:0; ირაპუატო — მონარკას მორელია 1:1; კერეტარო — პაჩუკა 0:0; ვერაკრუსი — ტეკოსი 1:1

## შვეიცარია

სუპერლიგა. IV ტური

**აარაუ 1:1 სერვეტი**

0:1 კომიზეტი (46), 1:1 კ. ვარელა (90)

**ქსამაქსი 1:2 იანგ ბოისი**

1:0 რეი (13), 1:1 შაპუიზა (78), 1:2 მანინი (85)

**თუნი 3:2 გრასჰოპერი**

1:0 რენფერი (15), 1:1 ნუნიესი (36), 2:1 დუშ სანტუში (99), 3:1 რეიმონდი (48), 3:2 ჩატრუკი (56)

**ვილი 2:3 ბაზელი**

1:0 ლუსტრინელი (17), 1:1 მ. იაკინი (61), 1:2 ატუბა (76), 1:3 სტრელერი (79), 2:3 რომანო (90)

**ციურიხი 2:2 სენტ გალენი**

0:1 ტაჩე-მენსა (10), 1:1 პეტროსიანი (62), 1:2 ტაჩე-მენსა (77), 2:2 პეტროსიანი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:7 | 12 |
| სერვეტი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| იანგ ბოისი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:6 | 9 |
| აარაუ | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| ქსამაქსი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| თუნი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:9 | 5 |
| გრასჰოპერი | 4 | 1 | 0 | 3 | 8:9 | 3 |
| სენტ გალენი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |
| ციურიხი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |
| ვილი | 4 | 0 | 1 | 3 | 7:12 | 1 |

ჩელენჯლიგა. III ტური

ბადენი — ბულე 1:2; შო დე ფონი — ბელინცონა 0:3; ლუცერნი — კიასო 3:0; ანიო — კრინსი 2:0; ვადუცი — შაფჰაუზენი 3:3; ვინტერთური — კონკორდია 0:0; ვოლენი — დელემონი 1:5; ივერდონი — მეირინი 3:0

## ჩეხეთი

მე-2 ტური: ბლშანი — სლავია 0:2; სპარტა — ოპავა 4:0; ბანიკი — ლიბერეცი 1:1; იაბლონეცი — სიგმა 0:2; პლზენი — ჟიჟკოვი 0:2; ბრნო — სინოტი 3:1. *ტეპლიცე — პრჟიბრამი და ზლინი — ბუდეიოვიცე წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიგმა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სპარტა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| ბანიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| პრჟიბრამი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ბრნო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ჟიჟკოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლიბერეცი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ტეპლიცე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბუდეიოვიცე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| სინოტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ზლინი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ბლშანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| პლზენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ოპავა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |
| იაბლონეცი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

## ირლანდია

პრემიერდივიზიონი XVI ტური

კორკ სიტი — დერი სიტი 1:1; შემროკ როვერსი — უოტერფორდი 0:1; დუბლინი — დროჰედა 1:0; ლონგფორდ თაუნი — სენტ პატრიკსი 1:1. *ბოჰემიანსი — შელბურნი გადაიდო*

## სლოვენია

